# გილოცავთ ბარბაროსობას!!!


ალია

N185/3115/ 17 დეკემბერი 2014 წ ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან


## საწვავის გაიაფების მოთხოვნით აქციები იწყება

რამდენი უნდა ღირდეს რეალურად ბენზინი




## დაპირისპირება საქართველოს გამო

ექსკლუზივები ევროსაბჭოს კულუარებიდან



## რატომ არ მოაქვს ქართულ მეცნიერებას მოგება და ვინ უნდა დაფინანსდეს?

## თამაზ გაიაშვილი: „საპროტესტო აქციები მაშინ ნახეთ“

ანუ „Правительство Грузии стало на сторону Росии“




## ვასიკო ოდიშვილმა „მაესტრო“ დატოვა?

რა უცხადებს „ალიას“ მისი მეუღლე

## რატომ გახდა საჭირო ცვლილებები „საიდუმლოების კანონში“?




## პარლამენტმა თვითმმართველობებში ნეპოტიზმი დააკანონა?




## რისთვის იბარებენ თბილისის ტრანსპორტის უფროსს საკრებულოში?

## „უნივერსიტეტის კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და ყველა სტუდენტს შეეძლოს არჩევნებში მონაწილეობა“

ილიაუნთან აქცია გაიმართება

## რატომ ჩამოართვა აშშ-ს კონგრესმა საქართველოს მთავარი მოკავშირის სტატუსი?



## რისთვის ჩავიდა „ნაციონალი“ დეპუტატი კანდელაკი გერმანიაში?

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


## ხუდადოვზე გოგონამ მამაკაცი გაუპატიურების მცდელობისთვის მოკლა?



**თბილისში, ხუდადოვის ქუჩაზე, 15 დეკემბერს, ღამით, არასრულწლოვანმა გოგონამ, თავდაცვის მიზნით, შუახნის მამაკაცი მოკლა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გოგონა თავს იცავდა. დაკითხვის შემდეგ პოლიციამ გოგონა ხელწერილით გაათავისუფლა.**

**დეტალების გასარკვევად „ალია“ შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ნინო გიორგობიანს დაუკავშირდა:**

**— რა გამოიკვეთა გამოძიების ამ ეტაპზე?**

– ეს გოგონა აუცილებელი მოგერიების საფუძველზე იცავდა თავს, ამიტომ არის ხელწერილით გაშვებული. ეს გოგონა არის 15 წლის. გამოძიების ამ ეტაპზე გარკვეულია, რომ რაღაც დროის განმავლობაში მათ გარკვეული ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან. ერთხელ იძალადა მამაკაცმა მასზე და მერე აიძულებდა ამას. როგორც ეს გოგონა ყვება, ეს ადამიანი თავს დაესხა, მათ შორის მიდიოდა ბრძოლა.

**— მიზეზი არის ცნობილი?**

– დიახ, ცნობილია, გაუპატიურების მცდელობა იყო. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ დანა ჰქონდა ამ თავდამსხმელს, ბრძოლის დროს ამ გოგონამ შეძლო, მისთვის დანა წაერთმია და თავად მიაყენა ჭრილობა. ეს ადამიანი ამ ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა, თავად გოგონასაც ჰქონდა ფიზიკური დაზიანებები.

**— გამოძიება რა მუხლით მიმდინარეობს?**

– აუცილებელი მოგერიების მიზნით როცა ხდება ასეთი რამ, შესაძლებელია მისი ხელწერილით გაშვება, მით უმეტეს იმის გამო, რომ ის არასრულწლოვანია. დანარჩენი გამოძიების შედეგად დადგინდება, დღევანდელი სურათი კი იძლევა იმის საშუალებას, რომ გოგონა გაგვეთავისუფლებინა, ის იცავდა თავს.

**— რამდენად დარწმუნებულები ხართ მის უდანაშაულობაში?**

– ამ ეტაპზე ჩვენც და პროკურატურაც დარწმუნებულები ვართ, რომ გოგონამ არ მოიტყუა. ბევრი გარემოება მიუთითებდა იმაზე, რომ მას არ ჰქონდა საფუძველი, ეცრუა.

**— მოძალადის ვინაობა თუ გაირკვა?**

– ვინაობა ცნობილია, პროფესია ცნობილი არაა, თუმცა ის არის ცნობილი, რომ ეს გოგონა და მოძალადე ერთმანეთს იცნობდნენ.

*ჟანა ასანიძე*



## ლარმა ისევ გაუფასურება დაიწყო

რამდენიმედღიანი გამყარების შემდეგ ლარმა ისევ გაუფასურება დაიწყო. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ახალი გაცვლითი კურსის მიხედვით, 17 დეკემბრიდან 1 დოლარის შეძენა 1,85 ლარად იქნება შესაძლებელი. (პირველი რადიო)

## რუბლის მორიგი გარდაცვალება — 1 ევრო 100 რუბლი



რუსეთის ფედერაციის ეროვნული ვალუტა კატასტროფულ რყევას განიცდის. 16 დეკემბერს მოსკოვის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ევროსთან მიმართებაში რუბლმა კატასტროფული მაჩვენებელი დააფიქსირა 1 ევრო 100 რუბლი ღირდა, დოლარი კი – 80 რუბლი. შოკისმომგვრელი კურსის დაფიქსირების შემდეგ რუსული ვალუტა შედარებით გამყარდა და 92,50 რუბლი შეადგინა. მოგვიანებით რუბლმა დოლართან მიმართებაშიც დაიწყო გამყარება და 72,70 შეადგინა. (პირველი რადიო)



## ვარკეთილში 19 წლის ახალგაზრდა მოკლეს

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს, ისანი-სამგორის სამმართველოსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული კახა ფ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის 15 დეკემბერს, ღამით, ვარკეთილში, სუხიშვილების ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, ცივი იარაღით ზურგის არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა 1995 წელს დაბადებულ დავით ხ-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი კლინიკაში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში „მეტრომშენის“ დასახლებაში დააკავეს. (ნიუპოსტი)

## სანაპიროზე ავტოავარია მოხდა



თბილისში სანაპიროზე ავარია მოხდა. ვახუშტის ხიდთან „ბე-ემ-ვეს“ მარკის ორი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა. მიზეზი, სავარაუდოდ, გადაჭარბებული სიჩქარე გახდა. შს სამინისტროს პრესცენტრის განმარტებით, ავარიას მსხვერპლი არ მოჰყოლია, მომხდარის შედეგად ორივე ავტომობილის მძღოლი მსუბუქი დაზიანებებით საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით. (ნიუპოსტი)



## დღეს ბარბარობაა



მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა დიდმოწამე ქალწულის, ბარბარეს ხსენების დღეს აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში წირვა-ლოცვა აღევლინება.

წმინდა დიდმოწამე ბარბარე მართლმადიდებლობისთვის მეოთხე საუკუნის დასაწყისში, მმართველ მარკიანეს დროს ეწამა. ის ფინიკიის ქალაქ ილიოპოლისში ცხოვრობდა და მდიდარი წარმართის ერთადერთი ქალიშვილი იყო. მისი მამა დიოსკორე კერპებს სცემდა თაყვანს. ქრისტიანად მონათვლის შემდეგ ბარბარემ ღვთის წინაშე ქალწულობის აღთქმა დადო, რომ თავს ღმერთს შესწირავდა.

ბარბარეს სურვილმა დიოსკორე განარისხა. მან ქალიშვილი ქვეყნის მმართველ მარკიანესთან მიიყვანა, რომ ქრისტიანებმა გადაიბირეს და წამებით სიკვდილის ღირსი იყო. ღვთის შემწეობითა და სიყვარულით წმინდა ბარბარემ არაერთი სატანჯველი დაითმინა. მათ შორის ტყავის შოლტებით ცემა, რის შემდეგაც მას საკანში უფალი გამოეცხადა და გაამხნევა.

წმინდა ბარბარეს თავი მისმა მამამ მოკვეთა, რისთვისაც ის უფლისგან დაისაჯა. იმავე წამს დიოსკორეს ციდან ცეცხლი დაატყდა. დაისაჯა მარკიანეც, რომელსაც მეხი დაეცა.

წმინდა ბარბარეს წმინდა ნაწილები ამჟამად კიევში, ვლადიმერის სახელობის საკათედრო ტაძარშია დასვენებული და მათგან მრავალი სასწაული აღესრულება.

წმინდა დიდმოწამე ბავშვების მფარველად ითვლება. მას ყრმათა კურნებისთვის, შვილიერებისა და მოულოდნელი, უზიარებელი სიკვდილისგან დაცვისთვის ევედრებიან. (ინტერპრესნიუსი)

## ეკა ზღულაძე უკრაინის შს მინისტრის მოადგილედ რამდენიმე დღეში დაინიშნება



უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტზე ეკა ზღულაძეს 22 დეკემბერს წარადგნენ.

უკრაინის შს მინისტრის, არსენ ავაკოვით თქმით: „მივესალმები ქართველ სპეციალისტებს ჩვენი რეფორმატორების გუნდში, მათ შორის ეკა ზღულაძეს, რომელსაც მე მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობაზე წარვადგენ და ის დაინიშნება ამ პოზიციაზე. ის დაგვეხმარება იმ რეფორმების სტრატეგიის განხორციელებაში, რომელიც ჩვენ დავამტკიცეთ. მე მას რამდენჯერმე შევხვდი და ძალიან კმაყოფილი ვარ“, – აცხადებს ავაკოვი. (ნიუპოსტი)

## რუსულ რუბლთან ერთად სომხური დრამიც ეცემა



რუსულ რუბლთან ერთად ეცემა სომხური დრამიც. ამჟამად ერთი დოლარი 550 დრამს უტოლდება. ბოლო ერთი თვის განმავლობაში სომხეთის ეროვნულმა ვალუტამ 25%-იანი დანაკლისი განიცადა. სომხეთში, ზოგიერთ მაღაზიებში შეწყვიტეს ან შეზღუდეს შაქრის, ტკბილეულისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის გაყიდვა. ზოგ საქონელზე მაღაზიის მომსახურე პერსონალმა ძველი ფასის აღმნიშვნელი ნიშანი მოხსნა, ახალი კი ჯერ არ არის დამაგრებული.

ექსპერტების აზრით, დრამის ვარდნა სომხეთის ეკონომიკის რუსულ ეკონომიკასთან მჭიდრო კავშირით აიხსნება. ისინი მიიჩნევენ, რომ მსგავსი პრობლემები დსთ-ს წევრ სხვა ქვეყნებსაც ელით. (ნიუპოსტი)

## ოზურგეთში სწრაფი გადახდის აპარატი გატეხეს



ოზურგეთში, ლესელიძის ქუჩის დასაწყისში, ი.მ „თინა ხმელიძის“ მაღაზიის წინ მდებარე საქართველოს ბანკის კუთვნილი სწრაფი გადახდის აპარატი გამოძიებისთვის ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა გატეხეს. მაღაზიის მომსახურე პერსონალის განცხადებით, ქურდებმა აპარატი გატეხეს, თუმცა თანხის გატანა ვერ მოახერხეს.

მომხდარზე საქმე აღძრულია სსკ-ს 187-ე მუხლით, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



**ევროპარლამენტის რეზოლუციის ტექსტში კრიტიკული ცვლილებები შევიდა. დღეს, სავარაუდოდ, ევროპარლამენტი მკაცრ რეზოლუციას მიიღებს. ცვლილებები კი იმ ჯგუფმა მოამზადა, რომლის პარტნიორებიც საქართველოში „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ არიან. ევროპარლამენტარები ხელისუფლებას მოუწოდებენ, პროკურატურა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ არ გამოიყენონ და საფრთხე არ შეუქმნან საქართველოს ევროპულ მომავალს.**

# დაპირისპირება საქართველოს გამო

## ექსკლუზივები ევროსაბჭოს კულუარებიდან



**საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე მოსალოდნელი მკაცრი რეზოლუციის შესახებ გვიყვება და იმ კულუარულ ინფორმაციას ამხელს, რომელიც ხალხმა უნდა იცოდეს.**

– რეზოლუციაში, რომელზე დებატებიც ნოემბერში გაიმართა, ფაქტობრივად, „ევროპის სახალხო პარტიის“ ერთმა ჯგუფმა მოახერხა, შეეტანა იმ ცვლილებების ნაწილი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ითხოვდა. რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, მთლიანად ევროპარლამენტის ჯგუფები მაინცდამაინც კმაყოფილი არ არიან იმით, წინასწარ რა ცვლილებებიც შევიდა. საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეც და პოლონელი დეპუტატებიც წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობის“ ლობისტები იყვნენ ევროპარლამენტში. ზუსტად ამ ჯგუფმა მოითხოვა ცვლილებები.

**— უფრო დეტალურად რომ გვითხრათ, ამ ცვლილებებთან დაკავშირებით ევროპარლამენტში აზრი იყოფა? კერძოდ, რომ საქართველოში არ მიმდინარეობს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ დევნა.**

– დიახ, აზრი ორად იყოფა, თუმცა შესაძლოა, სულ სხვა ვარიანტი მივიღოთ, ან დამძიმდეს და ის ცვლილებები დარჩეს, რომელიც შევიდა საგარეო კომიტეტის მოსმენებზე, მეორე ვარიანტია, შეიძლება უფრო დარბილდეს. ევროპარლამენტი ძალიან ჭრელი ორგანოა და აპრიორი იმისა, რომ ზუსტად ის გავა, რასაც „ნაციონალები“ ითხოვენ, ძნელია. თუმცა ფაქტია, რომ ნოემბერში მოხდა ზუსტად ის, რაც მოხდა, სამწუხაროდ, დღემდე ვერ ვხედავ, რომ მოქმედ ხელისუფლებას რაიმე შეეცვალა, უფრო უკეთესი გაეხადა საგარეო პიარი. ჩემთვის დღემდე გამაოგნებელია საკადრო პოლიტიკა, ძალიან ბევრ საელჩოში დიპლომატების ძალიან სუსტი რგოლი გვყავს, მე ნამდვილად არ მინდა, ჩვენი დიპლომატები დაემსგავსონ სააკაშვილის დიპლომატებს, რომლებიც ქვეყანას კი არა, მიხეილ სააკაშვილს აპიარებდნენ, ეს მდგომარეობა ამ წუთში არ არის, მაგრამ ყოველთვის ვამბობ, რომ ჩვენი დიპლომატიური რგოლი არის სუსტი და ეს დამტკიცდა ამ ორი წლის განმავლობაში, ამ მიმართულებით გვქონდა სერიოზული ჩავარდნა.

**— ვრცელდება ინფორმაცია, რომ რეზოლუციის ტექსტში შესატანი ცვლილებები ლიბერალების იმ ჯგუფმა მოამზადა, რომლის პარტნიორებიც საქართველოში „რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“ არიანო...**

– „დემოკრატებისა“ და „ნაციონალების“ შეკვრა უტოპიად მიმაჩნია. არ მგონია, ეს იყო სწორი ინფორმაცია, ხანდახან არის მომენტი, როცა ჩემი მოსაზრებებიც ემთხვევა „ნაციონალების“ მოსაზრებას, ევროპარლამენტარები ხელისუფლებას მოუწოდებენ, რომ პროკურატურა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ არ გამოიყენონ. ევროპელებმა რომ არ გვითხრან, ჩვენ კარგად ვიცით, რომ პროკურატურაში, ისევე, როგორც საგარეო უწყებაში რეფორმებია გასატარებელი. ევროპარლამენტში არც ისე მარტივადაა საქმე, როგორც ფეხბურთის შედეგს ვერ იწინასწარმეტყველებ, ასევეა ეს რეზოლუციაც.

ევროპარლამენტის კულუარული ინფორმაციებიდან გამომდინარე გეუბნებით, რომ გაყოფილია აზრი იმის შესახებ, რა ხდება საქართველოში. არის ძალიან დიდი ჯგუფი ევროპარლამენტში, რომელიც იწონებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, ეს არის სწორედ ის ჯგუფი, რომელიც საქართველოს ევროპარლამენტის ურთიერთობებზე მუშაობს და მათ, ასე თუ ისე, ურთიერთობები აქვთ და საქმის კურსში არიან მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. არიან „სოციალისტები“ და „მწვანეები“, რომლებიც ამ აზრს იზიარებენ თუმცა იგივე „სოციალისტებსა“ და „ევროპის სახალხო პარტიაში“ ისეთებიც არიან, ვინც „ნაციონალების“ აზრს იზიარებენ, რომ საქართველოში ყველაფერი უკან წავიდა.

დიპლომატებმა და ლობისტურმა ჯგუფებმა ვერ შეძლეს, მობილიზება გაეკეთებინათ იმ ხალხის, ვინც რეალურად აზროვნებს ევროპარლამენტში. ორი თვე გავიდა, რაც საგარეო საქმეთა ახალი მინისტრი დაინიშნა, პოლიტიკისთვის ეს დიდი დროა და ჩვენ რეალური შედეგი არ დაგვინახავს. მე პირადად, ევროპარლამენტში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიურობას ვერ ვხედავ. სააკაშვილის ჯგუფი ისევ აქტიურად მუშაობს.

**— ევროპარლამენტის რეზოლუციის ტექსტში ყველაზე უარესი რა შეიძლება ჩაიწეროს და რა რეკომენდაციები მოგვცენ?**

– ჩვენი საუბარი შესაძლებელია დაემსგავსოს მკითხაობას, როგორც გითხარით, ევროპარლამენტი ორ ნაწილად არის გაყოფილი, მოწინააღმდეგე მხარეს ევროპარლამენტარები ახსენებენ იმას, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროს 9 წლის განმავლობაში ხდებოდა. 780 დეპუტატია ევროპარლამენტში და ყველას თავისი აზრი აქვს, ვნახოთ, რა იქნება. ამ წუთში ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, რა განწყობები შეუქმნა საგარეო პიარმა ევროპარლამენტარებს. აქ გაჩნდა ჩანაწერი იმაზე, რომ პოლიტიკური ზეწოლები მიმდინარეობს ოპონენტებზეო, დებატების შემდეგ გაჩნდა ეს ჩანაწერი. მოდით, არ მოვიტყუოთ თავი და ვთქვათ, რომ ვერ ვიმუშავეთ კარგად.

**— ევროსაბჭოს რეზოლუციის მსგავსად შეიძლება ვიხილოთ ევროპარლამენტის რეზოლუციაში პატიმრობაში მყოფი „ნაციონალების“ გვარები — ახალაია, მერაბიშვილი?**

– არა მგონია, ასე იყოს, მათი სახელები რეზოლუციაში არ შევა, მე მაინც ვფიქრობ, რომ „ევროპის სახალხო პარტიის“ იმ ჯგუფმა, რომელიც ასე ლობირებს „ნაციონალურ მოძრაობას“, შესაძლოა დააყენოს საკითხი, როგორც უკრაინის რეზოლუციაში ჩაიწერა ტიმოშენკოს სახელი, ასევე ჩაიწეროს ახალაიასა და მერაბიშვილის გვარები ამ რეზოლუციაში. თქვენ გახსოვთ ევროპარლამენტის ის რეზოლუცია, რომელიც უკრაინასთან დაკავშირებით მიიღეს და როცა იმ რეზოლუციაში ჩაიწერა ტიმოშენკოს გვარი, რადიკალურად შეიცვალა დამოკიდებულება უკრაინისადმი. მარტო იმის ბრალი არ იყო, რომ რუსეთის მარიონეტი იყო იანუკოვიჩი, ამ რეზოლუციებს ბიზნესწრეები კითხულობენ და მათი განწყობები იცვლება. ევროპარლამენტის რეზოლუცია არ არის მხოლოდ პოლიტიკური, ამას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ასეთ რეზოლუციებს პირველ რიგში ინვესტორები კითხულობენ. როცა ბიზნესმენი კითხულობს, რომ ამ ქვეყანაში პოლიტიკური ზეწოლა ხორციელდება ოპონენტების წინააღმდეგ, ის იწყებს ფიქრს, რა მინდა ამ ქვეყანაში? თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკა და ეკონომიკა ერთმანეთზეა გადაბმული. ასე რომ, ამ რეზოლუციას ნუ შევხედავთ როგორც ფურცელზე დაწერილ ტექსტს, ჩვენ გვაქვს უკრაინის მაგალითი, როცა რეზოლუციაში ჩაიწერა ტიმოშენკოს გვარი, ძალიან ბევრმა ევროპულმა ფირმამ შეამცირა უკრაინის ბაზარში ოპერირება, პროექტები შეაჩერა. ბოლოს მივიღეთ მაიდანი. ღმერთმა ქნას საქართველოში ასეთი რამ არ მოხდეს, მაგრამ მაისამდე, როცა მეორე რეზოლუციაზე დაიწყება მუშაობა, ძალიან ცუდი იქნება, თუ ამ რეზოლუციაში ჩაიწერება ახალაიასა და მერაბიშვილის გვარები. ამ პერიოდში რა განვითარდება ქვეყანაში, არავინ უწყის.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ომბუდსმენმა ეკონომიკის მინისტრს რეკომენდაციით მიმართა



საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა ეკონომიკის მინისტრს, გიორგი კვირიკაშვილს, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტზე“ მათ მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულყოფილი სახით გაცემასთან დაკავშირებით.

„2014 წლის 27 იანვარს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ განცხადებით მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სხვადასხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით. სამინისტროს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციას მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილის გაცემაზე ეთქვა უარი, ინფორმაციის გაცემის მიზანშეუწონლობის მოტივით, ნაწილი კი არასრულყოფილი სახით იქნა გაცემული.

ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც აღიარებულია, როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, სახელმწიფოს მიერ ამ უფლების რეალიზაცია მისი დემოკრატიულობის ხარისხის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ნიშანს წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი ყოველ ადამიანს ანიჭებს უფლებას, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს მიზანშეუწონლობის მოტივით საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესაძლებლობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებებისა და დოკუმენტაციის სრულყოფილად შესწავლის შედეგად სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამოსილი პირის/პირების მიერ დარღვეულია საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რაც, თავის მხრივ, არღვევს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ უფლებებს“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ლანჩხუთში ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა აღმოაჩინეს



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურიდან 7 კილომეტრის დაშორებით, იური ჩხაიძის ნაკვეთში, ე.წ. სამწვერიას კარავთან, მექანიკური ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა აღმოაჩინეს. ნაღმი თავად ჩხაიძის მიერ იქნა აღმოჩენილი, რომელიც მიმდებარე ტერიტორიაზე საქონელს მწყემსავდა. მან ადგილზე ადგილობრივი სამაშველო სამსახურის ბრიგადა გამოიძახა, სამაშველო სამსახურმა კი – გამნაღმველები.

სამაშველო სამსახურის ცნობით, ამ ეტაპზე ნაღმი გაუვნებელყოფილებულია. (ნიუპოსტი)

## სოსო რობაქიძე საავადმყოფოში მოხვდა?



(ნიუპოსტი)

პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი ზურაბ მიქაძე საქალაქო სასამართლოში მომხდარი დაპირისპირების გამო სოსო რობაქიძეს უჩივის. მიქაძემ სარჩელი პროკურატურაში უკვე შეიტანა.

ყოფილი პოლიციელი მოითხოვს, რომ ბუტა რობაქიძის მამის მიმართ გამოძიება 365-ე მუხლით აღიძრას, რაც ბრალდებულის მიმართ ზეწოლას ითვალისწინებს.

საქალაქო სასამართლოში სიტყვიერი დაპირისპირების დროს სოსო რობაქიძემ ზურაბ მიქაძეს ტელეფონი ესროლა.

**„ალია“ სოსო რობაქიძეს დაუკავშირდა, გვაინტერესებდა რას აპირებდა მის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით, გვითხრა ნახევარ საათში ვისაუბროთო. ნახევარი საათის შემდეგ ტელეფონზე ქალბატონმა გვიპასუხა, სოსოს დედა ვარ, ცუდად გახდა და სასწრაფოთი წაიყვანესო.**

**საქართველო, მოლდოვა და უკრაინა ნატო-ს წევრობის გარეშე აშშ-ის მთავარი მოკავშირის სტატუსს ვერ მიიღებენ. აშშ-ის კონგრესის ორივე პალატამ ერთსულოვნად, თუმცა გარკვეული ცვლილებებით მიიღო კანონპროექტი „უკრაინის მხარდამჭერი აქტი 2014“, რომელშიც საქართველოც არის ნახსენები.**

**აშშ-ის კონგრესის მიერ დამტკიცებული კანონპროექტი ხელმოსაწერად ქვეყნის პრეზიდენტს ბარაკ ობამას გადაეგზავნა.**

გურთან და ახალგორთან. ამას დაემატა საქართველოს მიერ მიღებული კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ეს ხომ არ არის რაღაც ქალაქის მერიის დასუფთავების სამსახურის მიღებული კანონი, არა? კანონი გვაქვს მიღებული, რომ საქართველოს ტერიტორიების 20% არის ოკუპირებული, წართმეული და ჩვენ არ ვცნობთ ამას. ჩვენ გვინდა დეოკუპაცია, ე.ი. ტერიტორიული დავა გვაქვს მეზობელ სახელმწიფოს-

**ვაღიაროთ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი, მერე რუსეთთან სადავო ტერიტორიები აღარ გვექნება და ნატო-ში მიგვიღებენ?**

– არა, აღიარება არა, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს არც ერთი მთავრობა არ აღიარებს. „ნაციონალების“ პოლიტიკა – „ყველაფერი ან არაფერი“, ყოველთვის წამგებიანი იყო და ახლაც წამგებიანი აღმოჩნდა. ამიტომ, შეიძლება დროებით ავუაროთ გვერდი სადავო ტერიტო-

შედეგს, რუსეთთან სააკაშვილის ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგს, ეს 2008 წლის ომის შედეგია, სხვა არაფერი. ახლა ნახეთ რა ხდება. თურქეთი რუსეთისკენ გადაიხარა, ნატო-ს მიერ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს თურქეთი არ შეუერთდა, არადა, ნატო-ს წევრია. მთელი ევროკავშირის დელეგაცია ჩავიდა თურქეთში, რომ ერდოღანი ევროკავშირისკენ შემოაბრუნონ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ერდო-

დებარება – ანდორა საფრანგეთისაც არის და ესპანეთისაც.

**— იცით, რა მიკვირს ჩვენი ხელისუფლების? ერთხელ განაცხადონ, რომ საქართველო შესაძლებლად თვლის, რომ განიხილოს ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების საკითხი. ამით პოლიტიკურად დააშანტაჟოს დასავლეთი და თქვენ მერე ნახეთ აქ ევრო-ამერიკული დელეგაციების სიარული, თურქეთი მონაგონი იქნება. ბოლოს და ბოლოს, ის მაინც გვეცოდინება, რამდენად ვჭირდებით ამ დასავლეთს და რისი**

# რატომ ჩამოართვა აშშ-ს კონგრესმა საქართველოს მთავარი მოკავშირის სტატუსი?

**რას ნიშნავს კონგრესის ეს რეზოლუცია? რა ცვლილებებს უნდა ველოდოთ ამის შემდეგ საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში?**

„ალიას“ პოლიტოლოგი **სისო ცინცაძე** ესაუბრა:

**— ბატონო სოსო, დიპლომატიურ ენაზე რომ გადმოვთარგმნოთ ეს, რას ნიშნავს? ისე, მე როგორც გავიგე, ჩვეულებრივად, ადამიანურად ეგრე ითარგმნება: მომწყდით თავიდან და თავში ქვა გიხლიათო.**

– ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის ამერიკელებისგან. სააკაშვილის დროს სამჯერ იყო ასეთი სიტუაცია. როგორც კი კონგრესში ერთი ჯგუფი დააყენებდა საკითხს საქართველოსთვის რეალური დახმარების გაწევის შესახებ, მათ შორის, იარაღით დახმარებისას, მაშინვე ეს საკითხი იყინებოდა და ვარდებოდა. აშკარაა, რომ ჯერ არ არის კონგრესი მზად იმისთვის, რომ ეს ნაბიჯი გადადგას. აგერ, უკრაინას არ აძლევენ 45-მილიონიან ქვეყანას სამხედრო დახმარებას და ჩვენი გიკვირთ? თუმცა, იმას ვერ ვიტყვით, რომ ამერიკამ ხელი გვკრა საბოლოოდ.

ახლა არავინ არ ლაპარაკობს მთავარ პრობლემაზე. 2008 წლის შემდეგ რეფორმები აღარ არის მთავარი პრობლემები, ახლა ნატო-სთან შეგვექმნა ახალი ბარიერი, რომელსაც ვერ გადავახტებით. ჩვენ გვაქვს ტერიტორიული დავა ჩვენს მეზობელთან. ახლა რუსეთი უკვე ამბობს, რომ საქართველო მთავრდება ენ-



თან, ეს კი ეწინააღმდეგება ნატო-ს წესდებას.

**— ნატო ჩვენ გამო წესდებას არ შეცვლის და რატომ „გვაბოლებენ“, რომ რეფორმებს თუ გავატარებთ, ადამიანის უფლებებს თუ დავიცავთ და მათ სხვა მითითებებს შევასრულებთ, ნატო-ში მიგიღებთო. გვითხრან, პირდაპირ, ვიდრე რუსეთთან არ მოაგვარებთ სადავო ტერიტორიების საკითხს, მანამდე არსადაც არ მიგიღებთო.**

– პირდაპირ რომ გვითხრან, მაშინ ეგ ცოტა სხვა საქმეა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მაგ სადავო ტერიტორიების გამო, დასავლეთ გერმანიის ნატო-ში შესვლის შანსი არ ჩანდა. მერე, პოლონეთთან დადო მეგობრობის ხელშეკრულება, პოლონეთის საზღვრები აღიარა და ამის შემდეგ გაეხსნა ნატო-ს კარი.

**— და რა გამოდის, ჩვენც უნდა**

რიებს და პირდაპირი დიალოგი დავიწყოთ რუსეთთან, რასაც ნინო ბურჯანაძე თხოულობს. სხვა მილიონი საკითხია, რაც რუსეთთან გვაქვს მოსალაპარაკებელი. რუსეთის ბაზრის პრობლემაა, რომ მთლიანად გაიხსნას რუსეთის ბაზარი. საქართველოში დენი, წყალი რუსეთის, რუსული სახელმწიფო კომპანიების ხელშია და ამაზე შეიძლება რუსეთთან მოლაპარაკება. ათასი საკითხია კიდევ.

**— ამერიკის ეს გადაწყვეტილება ჩვენს საშინაო პოლიტიკაზე როგორ აისახება? „ნაციონალები“ აყვირდებიან, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ გააფუჭა ამერიკასთან საქმე, თორემ ამ რეზოლუციას კონგრესი არ მიიღებდაო.**

– ეს დემაგოგია იქნება, მეტი არაფერი. რას ვიმკით დღეს? „ნაციონალების“ არასწორი პოლიტიკის-

ლანი ჩახუტებულია რუსეთთან.

**— ეგ ბევრის მანიშნებელია, ბატონო სოსო, თურქეთი ამ ნაბიჯს, უსაფუძვლოდ არ გადადგამდა. ძალთა ბალანსის გადანაწილება ხდება, მგონი, მსოფლიოში და ამის ფონზე, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა რუსეთს ხომ არ გადააბარეს ამერიკის და, შესაბამისად, ნატო-ს მამებმა?**

– არა, ჩაბარებით არ ჩააბარებენ რუსეთს, მაგრამ რამდენ ხანს გასტანს ეს კატათაგვობანა, ეს ცინიზმი, ეს არის საინტერესო. სხვას ვერაფერს ვერ ვუწოდებთ ჩვენ ნატო-ს საქციელს, შეუსრულებელი დაპირებები. ამის მეტი რა გვინახავს ბოლო წლებში? ორივემ, ბრიუსელმაც და მოსკოვმაც ჩინებულად იციან, რომ ნატო-ში არ მიგვიღებენ, ჩვენც ვიცით, მაგრამ სადღაც ბრიუსელი თავსაც იტყუებს, ჩვენც გვატყუებენ და სადამდე მივა ეს პოლიტიკა, ვნახოთ. წესით, ეს ტყუილები უნდა მობეზრდეს ოფიციალურ თბილისს და ერთ დღესაც, რბილი ულტიმატუმი წაუყენოს ბრიუსელს, თუ მიღებ, მიმიღე, თუ არადა, ნუღარ მატყუებ და აგერ, დავიწყებ რუსეთთან მოლაპარაკებებსო. შეიძლება ასე უფრო მივაღწიოთ რაღაცას. მართალია, როგორც ადრე იყო, იმ პოლიტიკური ფორმით აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი საქართველოს შემადგენლობაში აღარ დაბრუნდებიან, მაგრამ ათასი ფორმა არსებობს ამ რეგიონების დაბრუნებისა – საერთო სახელმწიფო, ერთიანი სახელმწიფო, კონფედერაცია, თუ გვნებავთ, ანდორის მაგალითი ავიღოთ, ორმაგი დაქვემ-

**გამღებია ჩვენს საფასურად? დასაკლავად განწირული ბატკანივით რომ დაგვათრევენ აქეთ-იქით, ამას მაინც მოეღება ბოლო.**

– კი, ეგ პოლიტიკური შანტაჟი დიპლომატიის ფორმაა და კარგსაც იზამენ, თუ ამ თემას წამოსწევენ. არა, არ გვინდა ეს ევრაზიული კავშირი, პირდაპირ მაგას ნუ ეტაკებიან, მაგრამ თქვან, რომ საბაჟო კავშირში გაწევრიანებას დავიწყებ. ივანიშვილმა ხომ თქვა, რომ, თუ ეს კარგი იქნება საქართველოსთვის, რატომაც არაო? ამ კავშირის წევრი რომ გახდე, ჩვენი ღვინო, ხილი და ციტრუსი, კომუნისტების დროს როგორც გადიოდა, ეგრე გავა რუსეთში. ტერიტორიულ მთლიანობას ჯერ ვერ აღადგენ და ეს ფაქტია, მაგრამ ხომ შეიძლება, ეკონომიკური სარგებელი ნახო რუსეთისგან და მერე რა იცი, იქნებ იქამდეც დალაგდეს ურთიერთობა, რომ ამ ტერიტორიების აღდგენის შესახებ სერიოზული დიალოგიც დაიწყოს? არა, ჩვენ ისევ ჯიუტად ვაგრძელებთ „ნაციონალების“ პოლიტიკას, „ან ყველაფერი, ან არაფერი“, ან დაგვიბრუნე აფხაზეთი და სამაჩაბლო, ანდა საერთოდ არ გვინდა შენთან ურთიერთობა. ამ პოლიტიკას არავისთვის ხეირი არ მოუტანია და არც ჩვენ მოგვიტანს. ამიტომ კონგრესის ის გადაწყვეტილება, რომლითაც საუბარი დავიწყეთ, ნუ გიკვირთ.

**ლევან ჯავახიშვილი**

577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## რა საერთოს ხედავს ჩიქოვანი საყდრისის პროცესებსა და სტალინის ძეგლის აღებას შორის



„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ჩიქოვანი საყდრისში სამუშაოების განახლებას ვანდალიზმს უწოდებს.

„ის ფორმა, რა ფორმითაც მოხდა ეს ყველაფერი ბოლო ორი დღის განმავლობაში, აბსოლუტურად არის მიუღებელი და არის ვანდალური. ბოლოს ასეთი ვითარება იყო მაშინ, როდესაც სააკაშვილმა გორის მოედნიდან სტალინის ძეგლი მოიპარა. ღამით, მიპარვით, ესე ამის გაკეთება მიუღებელია. სამწუხაროდ, გამოუსწორებელი შედეგია დამდგარი. კულტურის სამინისტრომ თქვა, რომ იქნება აბსოლუტურად გახსნილი და მოქნილი, აქამდე ეს ჯერ არ დაგვინახავს“, – განაცხადა ჩიქოვანმა. (ნიუპოსტი)

## თბილისში სტომატოლოგიური კლინიკა გაძარცვეს




თბილისში, გურამიშვილის გამზირზე სტომატოლოგიური კლინიკა დააყაჩაღეს. შემთხვევა 15 დეკემბერს, გვიან ღამით მოხდა. კლინიკაში მხოლოდ მორიგე ექიმი იმყოფებოდა.

40 წლამდე მამაკაცმა ექიმს ჩივილებით მიმართა და დახმარება სთხოვა. მას შემდეგ, რაც ექიმმა სამედიცინო დახმარება გაუწია, მამაკაცმა მას ხელები გაუკავა და ფული მოსთხოვა. თავდამსხმელი ქალბატონს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „თავს რატომ ვიტყუებთ“




„გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივანი გიგლა ბარამიძე „უკრაინის მხარდაჭერის აქტი 2014“-დან საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინისთვის აშშ-ს მთავარი მოკავშირის სტატუსის მინიჭების თაობაზე პუნქტის ამოღებას ეხმაურება.

„მთავარი მოკავშირის სტატუსს ვერ მიიღებს ვერც საქართველო, ვერც მოლდოვა და ვერც უკრაინა, თუკი ნატო-ს წევრები არ გავხდებით. ამას ვამბობთ ჩვენ ორი წელი, რომ ხელისუფლებამ ვერაფერი გააკეთა, უფრო მეტიც, 2008 წლის ამბების შემდეგ ნატო-ს კიდევ უფრო დავცილდით. ნატო-ს კარი ჩვენთვის, ამ სახით, ღია არ არის. ამის შესახებ ჩვენ გვეუბნებოდნენ პირდაპირ თუ ირიბად შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველი ზბიგნევ ბჟეჟინსკი, შტაინმაიერი, ევროპის ლიდერები, თუმცა ჩვენს წინა და ახლანდელ ხელისუფლებას ამის გაგება არ უნდათ. ისინი აგრძელებენ საზოგადოების მოტყუებას, რომ დღეს ან ხვალ გავხდებით ნატო-ს წევრი. მაინცდამაინც კონგრესს უნდა მიეღო აღნიშნული გადაწყვეტილება, რომ ჩვენი სიტყვების სისწორე დაგვენახა? დღეს არ არის დასავლეთი მზად იმისთვის, რომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ჩვენი რეალური ინტეგრაცია მოხდეს, ამაზე არაერთხელ მიგვანიშნეს და რატომ ყრუვდებიან ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები, არ მესმის. ერთის ლოდინში მეორე, მესამე, მეოთხე მიმართულებით მოქმედებაზე უარის თქმა დამღუპველია. აქედან გამომდინარე, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ აუცილებლად მიიჩნევს მრავალვექტორული პოლიტიკის გატარებას, მათ შორის რუსეთთან შუამავლების გარეშე უმაღლეს დონეზე დიალოგის წარმოებას. (ინტერპრესნიუსი)

GOEuro-ს წლის კვლევის მიხედვით, საქართველო მატარებლით მგზავრობის სიიაფის რეიტინგით მსოფლიოში მეორე ადგილზეა. საქართველოს მხოლოდ სამხრეთ აფრიკა უსწრებს.

GOEuro არის სამოგზაურო სივრცეში მულტიფუნქციური კვლევის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია. ის ადარებს და თვლის მატარებლით, ავტობუსითა და თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულებას.

აღნიშნული კვლევა GOEuro-მ 2014 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა.






**„მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „პროტესტი საწვავის ქართულ ფასებს“, 26 დეკემბერს აქციებს იწყებენ. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ხელმძღვანელის, ბექა კემულარიას განცხადებით, საზოგადოებაში საპროტესტო განწყობა დიდი ხანია მომწიფებულია. დღეს 1 ლიტრი საწვავის შემოტანა, აქციზის გადასახადიანად, სატრანსპორტო, სარეალიზაციო, ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯების ჩათვლით, საშუალოდ ჯდება 1 ლარი და 10 თეთრი.**

რა ხდება, რა სქემები არსებობს? სად მიდის 90-თეთრიანი მოგება?

„ალიას“ **ბექა კემულარია** ესაუბრა:



ბექა კემულარია

ფასით? ტენდერში კონკურენციაა, უნდა გაიმარჯვოს რამდენიმე კომპანიამ და ამიტომაც იძლევიან ასე იაფად, ხოლო გარეთ უკვე მოქმედებს შეთანხმებული ფასები.

— **გამოდის, დღეს საწვავის რეალური ფასი 1,50 ლარია?**

– რა თქმა უნდა და მაინც 40-გამოვიდა და თქვა, ამაზე ჩვენ შევთანხმდით იმიტომ და ამიტომო, ეს უკვე აღიარებითი ჩვენებაა, კანონი არანაირ „იმიტომ“ და „ამიტომ“-ს არ სცნობს. ყველა ქვეყანაში მონოპოლიების გამოაშკარავება რთულია, იქ არავინ არ ამბობს, ჩვენ შევთანხმდითო, ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში ხდება, ლაგოდეხისა და ზუგდიდის გაზგასამართებზე ერთ დღეს სხვადასხვა კომპანიები ერთ ფასს რომ აწესებენ, ეს არ არის საკმარისი გამოძიების დასაწყებად?

— **ბექა, ამ შემთხვევაში კანონი რა სანქციებს ითვალისწინებს?**

– კანონი ითვალისწინებს ჯარიმებს ბრუნვის 5 პროცენტით. თან გააჩნია, რა დონის გარიგებები მიხედვითაც, ჩვენს ქვეყანაში იმპორტი და რეალიზაცია ემთხვევა ერთმანეთს. ამათ არავითარი მარაგები არ აქვთ, საიმისოდ რეზერვუარებიც კი არ არსებობს.

— **ლილოში აქვთ რაღაც რეზერვუარები.**

– ეს არის ყოველდღიური მოხმარებისთვის, მაქსიმუმ, სამი კვირის, ჰა, ერთი თვის. როდესაც ნავთობზე ფასები ასე მცირდება, ესენი იმდენად უჭკუოები არიან, რომ ერთი თვის მარაგი იყიდონ? არ არის დაფიქსირებული არანაირი მარაგი. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც 70-პროცენტიანი მარჟით მუშაობენ. ეს ხდება მხოლოდ საქართველოში, „ნაცების“ დროსაც ფასების კლება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად სწრაფად გაიყიდება ადრე შემოტანილი საწვავი:

– აგვისტოდან მოყოლებული, დღემდე არაერთხელ შემცირდა. ფასების შემცირება აუცილებლად გაგრძელდება, რადგან საერთაშორისო ბაზარზე მნიშვნელოვნად დაეცა. ადეკვატური ასახვა ჩვენთანაც იქნება, უბრალოდ ამას სჭირდება გარკვეული ეტაპი. როდესაც გაანგარიშებას აკეთებენ ბოლო რამდენიმე დღის ციფრებით, ასე არ გამოვა, ქსელში არსებობს ნაშთები, საწვავის ფასი ერთი თვის წინ უფრო მაღალი იყო.

— **რით ველარ გაიწმინდა ეს ქსელი?**

# საწვავის გაიაფების მოთხოვნით აქციები იწყება

## რამდენი უნდა ღირდეს რეალურად ბენზინი



– როდესაც ამ საკითხის შესწავლა დავიწყეთ, ერთი საინტერესო დეტალი აღმოვაჩინეთ. საქართველოს მთავრობამ დეკემბერში გამოაცხადა წინასატენდერო პირობები, ტენდერი ჩატარდება 2015 წლის დასაწყისში. ჯერ ერთი, საწვავის მოცულობა წინა წლებთან შედარებით გაზარდეს 30 პროცენტით და მეორეც – 1 ლიტრის შესყიდვა ხდება 1 ლარად და 50 თეთრად. 2014 წელს შეისყიდეს 70 მილიონი ლიტრი, ხოლო 2015 წლისთვის აპირებენ 100 მილიონი ლიტრის შესყიდვას. თუ გადავიანგარიშებთ, ყოველი მე-8 მანქანა გამოდის საჯარო მოხელის. ვერ გავიგე, სახელმწიფო სამსახურებმა ავტოპარკები გაზარდეს? „ლუკოილმა“ გაიმარჯვა ტენდერში ჯერ კიდევ 2013 წლიდან „პრემიუმზე“, „რომპეტროლმა“ გაიმარჯვა „ევრო დიზელზე“, „სოკარმა“ – „რეგულარზე“, ხოლო „ვისოლმა“ – „სუპერზე“. ალბათ, ახლაც ეს კომპანიები გაიმარჯვებენ, მაგრამ სატენდერო კომისიაში ყველა კომპანიას ჰყავს თავისი წარმომადგენელი ჩასმული, რაც უკვე ინტერესთა კონფლიქტია. ეს კომისია დამტკიცებულია მთავრობის მიერ, რა შუაში არიან კერძო კომპანიების წარმომადგენლები? ამ ნავთობკომპანიებმა დააფუძნეს ასოციაცია და აქედან შევიდნენ. კიდევ ერთი, დეკემბერში რომ ნავთობის ფასი ძალიან შემცირდა, ვხედავთ, ხომ? ახლა რომ ტენდერი გამოაცხადეს, ლიტრის ფასი საორიენტაციოდ გაანგარიშებულია 1 ლარსა და 50 თეთრზე, იანვარში, როცა ტენდერი ჩატარდება, რანაირად უნდა იხელმძღვანელონ ნოემბრის თეთრიან მოგებაზე გადიან. აქ ვერ იტყვიან, დიდ პარტიას ვყიდით და ფასს ამიტომ ვამცირებთო, საწვავი იყიდება წლის განმავლობაში ტალონების საშუალებით. საწვავი არავის მიაქვს და რეზერვუარებში არ ასხამს. ესენი იტყუებიან, შემოტანისა და რეალიზაციის მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა. გარდა ამისა, მთავრობა ფულს წინასწარ არ აძლევს, გადარიცხვები ხდება ყოველთვიურად. კი, ბატონო, სახელმწიფო იაფად რომ ყიდულობს, კარგია, მაგრამ ეს იმას ამტკიცებს, რომ გარეთ შეთანხმებული ფასებით გვასყიდებენ.

— **თქვენ პირველ აქციასატარებთ კონკურენციის სააგენტოსთან. ამ სამსახურის წარმომადგენლებთან საუბარი გქონდათ?**

– ეს არის იგივე ანტიმონოპოლიური სამსახური, უბრალოდ დაარქვეს კონკურენციის სააგენტო. მათთან რა საუბარი უნდა გვქონოდა? ჯერ ერთი, საიტზე მითითებულ ტელეფონზე საერთოდ არავინ პასუხობს და მეორეც – ვინ არიან, ვერ გაიგებთ. როგორც გავიგეთ, მარტო თავმჯდომარე და ერთი მოადგილეა, რომლებიც გონზე არ არიან. როგორც კი დაფუძნდნენ, ამ საკითხისა და ფარმაცევტული ბაზრის შესწავლა უნდა დაეწყოთ. ან დაიწყონ გამოძიება, ან კიდევ დაადასტურონ, რომ ადგილი აქვს ელიტურ კორუფციას. უარესი ხდება გაზზე, ორჯერ გააძვირეს, ერთხელ აგვისტოში და მეორედ ახლა, დეკემბერში. რეგიონებში გაძვირდა 15 თეთრით, თბილისში – 10 თეთრით. აქაც საქმე გვაქვს შეთანხმებასთან. ამას წინათ ვიღაცა




დაფიქსირდება, რა კვალიფიკაცია მიეცემა და რა შეფასებები იქნება. ჩვენ შეგვაქვს განცხადება სააგენტოში და მოვითხოვთ შუალედური მოკვლევის შედეგების გამოქვეყნებას. კონსტიტუციის 30-ე მუხლის მიხედვით სახელმწიფო ვალდებულია, მომხმარებელი დაიცვას მონოპოლიური ფასებისგან. ეს უშუალოდ ეხება კონკურენციის სააგენტოს, რომელსაც 2015 წლის ბიუჯეტში მილიონი ლარი დაუდეს. ეგენი ოფისიდან თავს არ უნდა ჰყოფდნენ, დღე და ღამე დოკუმენტებში უნდა ჰქონდეთ ცხვირი ჩაყოფილი.

— **ნავთობკომპანიების მესვეურები ამბობენ, რა ვქნათ, საწვავი ძველი ფასებით გვაქვს შემოტანილი, სანამ ამას არ გავყიდით, ვერ გავაიაფებთო.**

– ეს არის ტყუილი. ამას ადასტურებს სტატისტიკა, რომლის კი ლაპარაკი იყო 30-50 თეთრზე, დღეს ეს მოგება ასულია 90-თეთრიან მოგებაზე. ესე იგი, ამათ „ნაციონალებსაც“ კი გადაუჯოკრეს.

— **თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე?**

– მე ვფიქრობ, ეს გამიზნული კორუფციაა. თუ გნებავთ, დავარქვათ საბოტაჟი იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა არაფერი იცის. ყოველ შემთხვევაში, ორი ვარიანტია. საზღვარგარეთის პრაქტიკა ასეთია - სწრაფად რეალიზებად პროდუქტებზე, როგორებიცაა საწვავი, თამბაქო და სხვა, კომპანიები მოგების დაბალ მარჟაზე მუშაობენ, რადგან მაღალი ბრუნვის შედეგად, ისედაც დიდი მოგება რჩებათ. ჩვენ გვაქვს პრეტენზიები კომპანიების მიმართ, მაგრამ არ გვაქვს იმის ბერკეტი, რომ აღვკვეთოთ კანონდარღვევა.

კონკურენციის სააგენტოს საიტზე მითითებულია ტელეფონის ნომერი, რომელზეც არავინ პასუხობს. იმედია, ამ ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ თავად გამოგვეხმაურებიან. როგორც ჩანს, ამ სააგენტოს თავმჯდომარისა (გიორგი ბარაბაძე) და ერთი მოადგილის (გიორგი ფერაძე) მეტი არავინ ჰყავს.

**როგორც ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის ხელმძღვანელი, ვანო მთვრალაშვილი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, საცალო ქსელში**

– ნელ-ნელა იწმინდება... გარდა ამისა, კომპანიებს სხვადასხვა ხარჯებიც აქვთ.

— **უახლოეს ხანში მაინც რამდენით შემცირდება საწვავი, ლარ-ნახევარზე ჩამოვა?**

– მე არ ვიცი, ზუსტად სადამდე ჩამოვა, მაგრამ მნიშვნელოვნად რომ შემცირდება, ეს ცხადია.

— **მთავრობისთვის თუ მცირდება, ჩვენ რა დავაშავეთ? საცალო ქსელსა და საბითუმოს შორის ამხელა სხვაობა შეიძლება?**

– დავიწყოთ იმით, რომ სახელმწიფო ყიდულობს საწვავს დიდი ოდენობით. კომპანიას შეუძლია, მინიმალური ფასდანამატით მისცეს თავის კლიენტს. გარდა ამისა, კომპანიებს ჰყავთ თავიანთი კორპორატიული მომხმარებლები, სადაც 15-20-თეთრიანი ფასდაკლებებია.

— **ძალიან დიდი სხვაობაა.**

– არა, არა, სახელმწიფოს მოთხოვნა ისედაც აქვს, რომ 15 თეთრით ნაკლებად იყიდოს.

— **აქ 60 თეთრზეა ლაპარაკი.**

– აქ ფორმულაა, სადაც პირდაპირ არის მითითებული შეწონილი ფასი. როცა კომპანია ამ ფასში აძლევს საწვავს, შეიძლება მას ქსელში არ აქვს დიდი ნაშთი. აქ ბევრი ნიუანსია.

**გასაგებია, არსებობს რაღაც ფორმულა, მაგრამ არსებობს ერთი ცხოვრებისეული ფორმულაც: საერთაშორისო ბაზარზე ბარელი ნავთობის ფასი იყო 120 დოლარი, ხოლო საცალო ქსელში ბენზინი იყიდებოდა 2.15-2.25 ლარად. ჩამოვიდა 60 დოლარზე, ანუ გაიაფდა 50%-ით. რატომ არ აკლებენ ფასსაც 50%-ით? აქ უკვე ნებისმიერი ფორმულა ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას.**

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი...



### რიკოთზე შეზღუდვები კვლავ დაწესდა

რიკოთის გვირაბში საავტომობილო მოძრაობაზე კვლავ შეზღუდვებია. მიზეზი ამჯერადაც გვირაბში მიმდინარე ელექტრო-მექანიკური აღჭურვილობის პროფილაქტიკური სამუშაოებია.

19 დეკემბრის ჩათვლით გვირაბით სარგებლობა, ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებისთვის, დილის 8-დან საღამოს 6 საათამდე აკრძალული იქნება.

ამ დროის განმავლობაში მანქანების მოძრაობა რიკოთის უღელტეხილის შემოსავლელ გზაზე გადაერთვება. (ნიუპოსტი)

### რა ხდება ერთ-ერთ უწყებაში?




ნანუკა ჟორჟოლიანი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ინფორმაციას აქვეყნებს: „ერთ-ერთ უწყებაში ამ წუთებში ამბავი ხდებააა:) მოკლედ, ხარჯების ამბავია. გაირკვა, რომ მხოლოდ მედიის ნაწილში 80.000 იხარჯებოდა ყოველთვე. ქეშად მისდიოდათ სააგენტოებს, გაზეთებსა და ცალკეულ ჟურნალისტებს ფული. კოლეგიალობიდან გამომდინარე, გვარებს არ დავწერ, თუმცა ჩემი ჩიტი იუწყება, რომ მალე ყველაფერი საჯარო გახდება. კიდევ ვიცი რალაცები, მაგრამ ჩემმა ჩიტმა, არ თქვაო“. – წერს ჟორჟოლიანი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „ამას ვერაგობა ჰქვია...“



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე საყდრისში მომხდარ ფაქტს ეხმაურება და მას ვერაგობას უწოდებს.

კოჟორიძის თქმით, ვილაცის რჩევით ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას ყველანაირი სამართლებრივი მექანიზმი ხელიდან გამოაცალეს, რადგან იცოდნენ, რომ დავას წააგებდნენ.

„ადამიანურ ენაზე ამას ჰქვია ვერაგობა. ჩვენ არ დაგვიტოვეს სასამართლოში დავის საშუალება. იცოდნენ, რომ დავას მოვუგებდით მაღალი ალბათობით, იმიტომ რომ ჩვენ შევუჩერეთ მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების წარმოების უფლება, ყველა სამართლებრივ მექანიზმს ვიყენებდით იმისთვის, რომ რაღაც შედეგისთვის მიგვეღწია, მაგრამ პრობლემა არის ის, რომ ეს სამართლებრივი მექანიზმი გამოგვაცალეს ხელიდან, როგორც ჩანს, ვიღაცამ ძალიან კარგი რჩევა მისცა“. – განაცხადა კოჟორიძემ. (ნიუპოსტი)

**ავიაკომპანია „ჯორჯიან ეარვეისის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე თამაზ გაიაშვილი „ალიასთან“ სკანდალურ განცხადებებს აკეთებს...**

**— ბატონო თამაზ, ავიაკომპანია „აირზენაში“ კრიზისული სიტუაციაა შექმნილი. გაფიცვა, საპროტესტო აქციები სწორედ ამის მაუწყებელია. გასულ კვირას საპროტესტო აქციები შეწყდა და მოსკოვის მიმართულებით ფრენებიც განახლდა, მაგრამ გუშინ საგაფიცვო კომიტეტმა კვლავ გააკეთა განცხადება აქციების განახლების შესახებ, თუმცა რეისები სრულდება. იქნებ აგვიხსნათ, რას ნიშნავს ეს?**

– მოდით, თავიდან დავიწყოთ. „ნაციონალური“ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, სხვებთან ერთად ჩვენც დიდი იმედი გვქონდა, რომ ქვეყანაში მდგომარეობა გამოსწორდებოდა და ოცი წლის წინათ შექმნილ ჩვენს ავიაკომპანიასაც, რომელიც ობიექტურ სიძნელეებთან ერთად, ხელისუფლების მიერ ხელოვნურად შექმნილ მრავალ სუბიექტურ სიძნელესაც უძლებდა, ბოლოს და ბოლოს, თავისუფალი საქმიანობისა და ნორმალური განვითარების შესაძლებლობა მიეცემოდა. 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, თუ გახსოვთ, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა, სადაც ჩვენი ავიაკომპანიის გენერალურმა დირექტორმა იასე ზაუტაშვილმა დააყენა საკითხი იმასთან დაკავშირებით, რომ ახალ ხელისუფლებას უარი ეთქვა ძველი ხელისუფლების მიერ დანერგილ მანკიერ პრაქტიკაზე, რაც ავიაკომპანიის მუდმივად შევიწროებაში მდგომარეობდა. კონკრეტულად ხელისუფლება და მთავრობა უნდა გამხდარიყო გარანტი სხვადასხვა სახელმწიფოებთან ავიაციის სფეროში გაფორმებული ხელშეკრულებების განუხრელი დაცვისა, ვინაიდან სხვაგვარად, ყველა შემთხვევაში, ზიანდებიან პატარა ქვეყნისა და შედარებით მცირე შესაძლებლობების ავიაკომპანიები.

> **„ბატონი კვირიკაშვილი ნაცვლად იმისა, რომ ავიაციაში არსებული მდგომარეობით დაინტერესებულიყო, ჩვენ მიერ ამ პრობლემების დაყენებამ გააღიზიანა. ის ხელს ჩემკენ იშვერდა და ამბობდა, – გაიაშვილი პრობლემებს აზვიადებსო. ბატონმა ღარიბაშვილმა კვირიკაშვილს უთხრა კიდეც, - გაიაშვილი რა შუაშია, ასაფრენი ზოლი რომ მძიმე მდგომარეობაშია, ამას ნებისმიერი მგზავრი გეტყვისო“**



# თამაზ გაიაშვილი: „საპროტესტო აქციები მაშინ ნახეთ“

## ანუ „Правительство Грузии стало на сторону Росии“



**— თქვენ მიერ საკითხის ასე დაყენებას რა რეაგირება მოჰყვა ივანიშვილისგან?**

– ბატონმა ბიძინამ ეს ყველაფერი ყურადღებით მოისმინა. მისთვის, რა თქმა უნდა, ძნელი არ იყო ბიზნესის პერიპეტიებში გარკვევა. მან იქვე დაავალა ეკონომიკის მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს, რომ კომისია შეექმნა, ეს საქმე კარგად შეესწავლა და შესაბამისი ზომები მიეღო.

**— და რა ზომები გაატარა კვირიკაშვილმა?**

– ერთხელ შეგვხვდა და კომისიაც შექმნა, მაგრამ ეს ყველაფერი ფორმალური იყო, სინამდვილეში ნაბიჯიც არ გადადგმულა საკითხის არც შესასწავლად და არც გამოსასწორე-

**— ამის შემდეგ აღარ მიგიმართავთ ივანიშვილისთვის?**

– პრემიერ-მინისტრის პოსტიდან ბატონ ბიძინას წასვლის შემდეგ, ჩვენ ახალ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს მივმართეთ, რომელმაც, ყოფილი პრემიერის მსგავსად, ყურადღებით მოისმინა ჩვენი არგუმენტები და საკითხი შესწავლისა და გამოსწორების მიზნით კვლავ ეკონომიკის მინისტრ კვირიკაშვილს გადასცა.

**— კვირიკაშვილი ამჯერადაც ფორმალური კომისიის შექმნით შემოიფარგლა?**

– არა, ამჯერად მას კომისიაც არ შეუქმნია და საერთოდ, თითი თითზე არ დაუკარებია, ავიაციაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

**— რით ხსნით თქვენ მის ამგვარ დამოკიდებულებას?**

– პირველ რიგში, ეს, ალბათ, კომპეტენციის ნაკლებობით და საქმისადმი ზერელე მიდგომით უნდა აიხსნას. ბატონი კვირიკაშვილი ნაცვლად იმისა, რომ ავიაციაში არსებული მდგომარეობით დაინტერესებულიყო, ჩვენ მიერ ამ პრობლემების დაყენებამ გააღიზიანა. ის ხელს ჩემკენ იშვერდა და ამბობდა, – გაიაშვილი პრობლემებს აზვიადებსო. ბატონმა ღარიბაშვილმა კვირიკაშვილს უთხრა კიდეც, – გაიაშვილი რა შუაშია, ასაფრენი ზოლი რომ მძიმე მდგომარეობაშია, ამას ნებისმიერი მგზავრი გეტყვისო. აეროპორტისა და ასაფრენი ზოლის, სადგომებისა და სამიმოსვლო ბილიკების მდგომარეობის საკითხი შესას-

ბლად. ყველაფერი ძველებურად დარჩა და, როგორც მაშინ ვიდექით გაკოტრების საშიშროების წინაშე, ასევე ვდგავართ დღესაც.

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

# ფონდ „სიცოცხლის ხის“ დაფინანსებით, მცირემხედველი და უსინათლო ადამიანებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების პროგრამა შეიქმნა

სულ რაღაც ერთი წელია, რაც ფონდმა „სიცოცხლის ხემ“ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე ზრუნვა აირჩია და დღეს უკვე ფონდის საქმიანობისა და განხორციელებული პროექტების შესახებ იციან არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც (აქცია „ადგილი დაკავებულია“ „ბიბისის“ საინფორმაციო ეთერში მოხვდა).

– წარმატების მიღწევაში ყველაზე მეტად ჩვენი ძირითადი ღირებულებები დაგვეხმარა – გულისხმიერება, სოლიდარობა, პასუხისმგებლობა, შედეგზე ორიენტირება და გამჭვირვალობა, – ამბობს ფონდ „სიცოცხლის ხის“ დირექტორი თორნიკე გურული.

სწორედ ამ ღირებულებების, ფონდის მესვეურთა კეთილი ნებისა და არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი მუშაობის შედეგად, ერთი წლის მანძილზე „სიცოცხლის ხის“ პროექტებით დაახლოებით 50 ათასამდე ადამიანმა ისარგებლა, რისთვისაც, საერთო ჯამში, 1 მილიონ ლარამდე დაიხარჯა.

ამჯერად ფონდ „სიცოცხლის ხის“ დაფინანსებით, ორგანიზაციამ „ახალგაზრდული მოძრაობა თანაბარი შესაძლებლობებისთვის“ მცირემხედველი და უსინათლო ადამიანებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების სწავლების პროგრამა შექმნა.

პროექტის ფარგლებში ასევე შეიქმნა სპეციალური ვებპორტალი **www.cvd.ge.**

სიახლის ავტორების განმარტებით, ადაპტირებულ ვებპორტალზე განთავსებულია სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, ელექტრონული წიგნები და სხვადასხვა საინტერესო მასალები, მცირემხედველი და უსინათლო ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით. აქვე განთავსებულია ფორუმიც, რომლის საშუალებითაც უსინათლო ადამიანებს და არა მარტო მათ, შესაძლებლობა ექნებათ ისაუბრონ მათთვის საინტერესო თემებზე.




პროექტის მიზანია უსინათლოებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების შესწავლის ხელშეწყობა მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით. პროექტის ფარგლებში, ასევე, შეიქმნა, ხმოვანი სინთეზატორის სახელმძღვანელო, რომელიც ბრაილის შრიფტით გამოიცა და მომზადდა სახელმძღვანელოს აუდიოვერსიაც, რათა კომპიუტერული პროგრამები უსინათლოებმა სმენით შეისწავლონ.

აღნიშნული პროექტის შედეგად შექმნილი სახელმძღვანელო 202-ე უსინათლოთა სკოლა-პანსიონში დაინერგება, როგორც დამატებითი სახელმძღვანელო. ასევე, მოხდა ამავე სკოლის ინფორმატიკის პედაგოგების გადამზადება შექმნილი სახელმძღვანელოს მიხედვით.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ფონდმა „სიცოცხლის ხემ“ მიმდინარე წელი შეაჯამა და იქიდან გამომდინარე, რომ ფონდის მუშაობა მაქსიმალურად გამჭვირვალეა, საზოგადოებას შემდეგი ინფორმაცია მიაწოდა: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად 2013 წელს გაიმართა 2 საგრანტო კონკურსი, რომელთა ფარგლებშიც 26 პროექტი დაფინანსდა. ჯამში, 2013 წლის განმავლობაში დაიხარჯა დაახლოებით 1 600 000 ლარი, განათლების, გარემოს დაცვისა და შშმ ბავშვების მხარდასაჭერად. ასევე, ფონდმა ინდივიდუალური პირების 13 სხვადასხვა პროექტი განახორციელა და 300 შშმ ადამიანს ეტლი გადასცა, მათ შორის, სოხუმისა და გალის მკვიდრებსაც.

**თორნიკე გურული, ფონდ „სიცოცხლის ხის“ დირექტორი:**

– საერთო ჯამში, ჩვენი სხვადასხვა პროექტით დაახლოებით 50 ათასმა ადამიანმა ისარგებლა და რაც მთავარია, ყოველ ჯერზე ვაქცევდით ყურადღებას, რომ ეს პროექტი არასოდეს ყოფილიყო ერთჯერადი. სხვათა შორის, სულ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ უცხოურ დონორ ორგანიზაციასთან მქონდა შეხვედრა, რომლის წარმომადგენელმაც მითხრა, რომ ფონდმა „სიცოცხლის ხემ“ საქართველოში პატარა „რევოლუცია“ მოახდინა, რაც გამოიხატება იმაში, რომ გამოჩნდა პირველი ქართული დონორი ორგანიზაცია, რომელმაც არასამთავრობო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების დაფინანსება დაიწყო, ყველასი, ვისაც აქვს იდეა და ვისაც სურს, შეცვალოს გარემო უკეთესობისკენ.

**ნანა ბრეგვაძე, „ახალგაზრდული მოძრაობა თანაბარი შესაძლებლობებისთვის“ წარმომადგენელი:**

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ისეთ საქართველოში, სადაც ფონდი „სიცოცხლის ხე“ ასეთ მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს და შშმ ადამიანებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე ზრუნავს. რაც შეეხება ჩვენს ერთობლივ სიახლეს, პროექტის ფარგლებში მომზადდა ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც უსინათლო მომხმარებელს საინფორმაციო ვაკუუმი საიტზე განთავსებული საინტერესო ინფორმაციებით შეევსება. საიტზე ასევე აიტვირთება პუბლიკაციები, ელექტრონული წიგნები, რომლებიც უსინათლო მომხმარებლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, ეს ვებგვერდი სრულად დააკმაყოფილებს უსინათლო ადამიანების მოთხოვნილებას, მიიღონ მრავალმხრივ საინტერესო სახის ინფორმაციები. გარდა ამისა, ვებგვერდზე ასევე შეიქმნა კლუბი უსინათლო მომხმარებელთა ფორუმი, რომელიც გააერთიანებს მთელ საქართველოში და არა მარტო საქართველოში მცხოვრებ უსინათლოებს და მათ ერთმანეთთან დაახლოებაში დაეხმარება“.

*მიხეილ სახვაძე*

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



*მეშვიდე გვერდიდან*

წავლად და დასკვნის გასაკეთებლად საერთაშორისო ორგანიზაცია „აიატას“ გადასცეს და ამ სამუშაოს შესრულებაში ხუთასი ათასი დოლარიც გადაუხადეს. „აიატას“ მიერ გაკეთებული დასკვნა აბსოლუტურად დაემთხვა იმას, რასაც ჩვენ ვამბობდით და ვწერდით ეკონომიკის მინისტრსა და პრემიერს. უთხრა კიდეც ღარიბაშვილმა კვირიკაშვილს, ამ დასკვნას გაიაშვილი უფასოდ გვაძლევდა და მაინცდამაინც ხუთასი ათასი დოლარი უნდა გადაგეხადათო?

გაანადგურებს. ეკონომიკის სამინისტრო ავიაციაში არსებული პრობლემების მოგვარების ნაცვლად თურქულ კომპანია „ტავ ჯორჯიასთან“ ფარული გარიგებით არის დაკავებული და მას ასაფრენი ზოლის უმნიშვნელო შეკეთების სანაცვლოდ დიდი ოდენობის საგადასახადო ვალდებულების მოხსნას და ძველი ტერმინალის მათთვის გადაცემას ჰპირდება, სადაც თურქული მხარე სასტუმროს მოწყობას გეგმავს, რაც იმას ნიშნავს, რომ თურქული კომპანია სამუდამოდ რჩება თბილისის აეროპორტში. ასეთი მიდგომები არა მარტო ქართულ ავიაციას ანადგურებს, არამედ ქართულ




**„ეკონომიკის სამინისტრო ავიაციაში არსებული პრობლემების მოგვარების ნაცვლად თურქულ კომპანია „ტავ ჯორჯიასთან“ ფარული გარიგებით არის დაკავებული და მას ასაფრენი ზოლის უმნიშვნელო შეკეთების სანაცვლოდ დიდი ოდენობის საგადასახადო ვალდებულების მოხსნას და ძველი ტერმინალის მათთვის გადაცემას ჰპირდება“**

**— ანუ რასთან გვაქვს საქმე, შეიცვალა ხელისუფლება, მაგრამ არ შეიცვალა ვითარება?**

– სამწუხაროდ, ასე გამოდის. ეკონომიკის სამინისტროში მოკალათებული ბენდუქიძის ემისრები კარგად მუშაობენ მინისტრთან. წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემების უყურადღებოდ მიტოვება და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ამ დარგისთვის ხელისშეწყობის ნაცვლად ხელისშემშლის ვითარების შექმნა დარგს მიწასთან გაასწორებს და ეკონომიკასაც აზიანებს და საერთოდ, ძირს უთხრის ქართულ სახელმწიფოებრიობას.

**— თქვენ კვირიკაშვილს საყვედურობთ, მაგრამ ის თქვენ საავიაციო ბაზრის მონოპოლიზებასა და ფასების ხელოვნურ აწევაში გადანაშაულებთ...**

– ეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის უბადრუკი მცდელობაა. რა მონოპოლიაზე შეიძლება საუბარი იქ, სადაც საავიაციო ბაზრის 92 პროცენტი უცხოურ კომპანიებს უკავიათ, ქართული კომპანია კი მხოლოდ 8 პროცენტს განკარგავს. რაც შეეხება ავიარეისებზე ბილეთების ფასებს, ჩვენ კი არ ვცდილობთ ფასების აწევას, ჩვენი რუსი კონკურენტები ცდილობენ ფასების გაუმართლებელ დაწევას, ცხადია, არა მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ჩვენს გასაკოტრებლად, რომ მერე მაქსიმალურად აწიონ ფასები და ყველა დანახარჯი და დანაკარგი ათმაგად და ასმაგად აინაზღაურონ. ფასებით ასეთი მანიპულირება ყველა ქვეყანაში კრიმინალად ითვლება და ე. წ. ანტიდემპინგური კანონით ისჯება. ჩვენი მთავრობა კი ამისგან არ გვიცავს. მეტი საბუთი რა გინდათ, გახსენით რუსული საიტი და წაიკითხეთ მსხვილი შრიფტით დაწერილი მხოლოდ სათაური: „**Правительство Грузии стало на сторону России**“. ოდნავ მაინც თავმოყვარე ქართველი მინისტრი უცხოელების მიერ მისი „მოღვაწეობის“ ამგვარი შეფასების შემდეგ აუცილებლად გადადგებოდა, მაგრამ კვირიკაშვილი ამას არ გააკეთებს. თვითონ ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ სახელმწიფომ უნდა არეგულიროს ზედა და ქვედა ზღვრული ფასები. რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში პირდაპირი წერია: „ტარიფები უნდა დადგინდეს გონივრულად, ყველა შესაბამისი ფაქტორის გათვალისწინებით. მხარეები მიუღებლად მიიჩნევენ ტარიფს, რომელიც გაუმართლებლად მაღალია ან შემზღუდველია დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების გამო“. ჩვენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ამ და სხვა ვალდებულებების შესრულებას მოვითხოვთ, რაშიც ხელს სწორედ ეკონომიკის მინისტრი გვიშლის. სამინისტრო თავის მოვალეობას არ ასრულებს და ჩვენ გვედავება, არ არის ეს უცნაური? დადგინდეს ზღვრულ ფასები, ვინ უშლის მას ამაში ხელს? არავინ! ავიაბილეთების მაღალ ფასებზე გაუთავებლად ლაპარაკობენ, მაგრამ ის არავის დაუთვლია, რამდენი ადამიანისთვის გაგვიმართავს ხელი, როცა ავადმყოფობის ან სხვა რამე მიზეზით ისინი გადაადგილების აუცილებლობის წინაშე დგებოდნენ, ამის საშუალება კი არ ჰქონდათ. ამ სახის ქველმოქმედებაზე



**„აეროპორტისა და ასაფრენი ზოლის, სადგომებისა და სამიმოსვლო ბილიკების მდგომარეობის საკითხი შესასწავლად და დასკვნის გასაკეთებლად საერთაშორისო ორგანიზაცია „აიატას“ გადასცეს და ამ სამუშაოს შესრულებაში ხუთასი ათასი დოლარიც გადაუხადეს. „აიატას“ მიერ გაკეთებული დასკვნა აბსოლუტურად დაემთხვა იმას, რასაც ჩვენ ვამბობდით და ვწერდით ეკონომიკის მინისტრს და პრემიერს. უთხრა კიდეც ღარიბაშვილმა კვირიკაშვილს, ამ დასკვნას გაიაშვილი უფასოდ გვაძლევდა და მაინც და მაინც ხუთასი ათასი დოლარი უნდა გადაგეხადათო?“**

ბოლო 3 წლის განმავლობაში 1,5 მილიონი აშშ დოლარის ხარჯები გვაქვს გაწეული. ჩვენი ავიაკომპანიის გაკოტრების შემთხვევაში ვის უნდა მიმართონ ამ კატეგორიის ადამიანებმა – უცხოურ ავიაკომპანიებს? ამაზე თუ ფიქრობს ვინმე ეკონომიკის სამინისტროში?!

**— თქვენ ამბობთ, მთავრობა არ გვეხმარებაო, მაგრამ რუსეთის მიმართებით ავიარეისების აღდგენა მთავრობის დამსახურება არ არის?**

– ნურავინ მიიწერს საკუთარ თავზე საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენას. ეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დამსახურებაა. სხვათა შორის, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ რუსეთის მიმართულებით ფრენები რომ გაგვეახლებინა, საქართველოს მთავრობამ სახელმწიფოს დავალიანებიდან 2 მილიონი აშშ დოლარი ჩვენს კომპანიას იძულებით გადაახდევინა, ცხადია, წინა ხელისუფლების დროს.

**— თქვენი გაფიცული თანამშრომლები ერთ-ერთ მოთხოვნად ავიაციის სააგენტოს ეკონომიკის სამინისტროსგან გამოყოფას აყენებენ. რით არის ეს განპირობებული?**

– მე არც კი ვიცი პრეცედენტი იმისა, რომელიმე ქვეყანაში მაინც ავიაცია (ან ტრანსპორტი, საერთოდ) ეკონომიკის სამინისტროში რომ შედიოდეს. „ნაციონალური ხელისუფლების“ გადაწყვეტილებით მოხდა. ამ ნაბიჯით დარგი დაკნინდა და სამოქალაქო ავიაციაში საერთაშორისო ორგანიზაცია „იკაო“-ს მიერ ჩატარებული აუდიტით ჩვენი ავიაცია ახალ გვინეას, ჰაიტის, ნეპალისა და სხვა სახელმწიფოების გვერდით „შავ სიაში“ აღმოჩნდა, რამაც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო იმიჯი სერიოზულად დააზიანა. ამიტომ, ერთ-ერთ აუცილებელ ნაბიჯად მიგვაჩნია ეკონომიკის სამინისტროდან ამ დარგის გამოყვანა.

**— ბატონო თამაზ, ისე გამოდის, რომ თქვენი თანამშრომლების გაფიცვამ და საპროტესტო აქციამ ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო...**

– ჯერ თუ ვერ გამოიღო, მომავალში გამოიღებს! ჩვენმა თანამშრომლებმა გაფიცვა და აქციები დროებით შეწყვიტეს იმ დაპირების ფონზე, რაც მთავრობამ მოგვცა. ამ დანაპირების შეუსრულებლობის შემთხვევაში მე მომიწევს ჩემი თანამშრომლებისთვის იმის გამოცხადება, რომ ავიაკომპანიის გაკოტრებასთან დაკავშირებით ისინი დათხოვნილნი არიან სამსახურიდან. გაფიცვები და საპროტესტო აქციები მაშინ ნახეთ!

**„ალია“ ელოდება, რომ შექმნილ კრიზისულ სიტუაციაზე საკუთარ პოზიციას მინისტრი კვირიკაშვილიც დააფიქსირებს.**

**ნინო სამხარაძე**
599 71-14-22

# რატომ გახდა საჭირო ცვლილებები „საიდუმლოების კანონში“?

**პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონპროექტს განიხილავს. კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განმარტებით, კანონპროექტი არეგულირებს ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევასთან, მის გასაიდუმლოებასა და დაცვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების დასაცავად თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში.**

**რატომ გახდა საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები? კონკრეტულად რა სიახლეები შედის კანონში?**

**„ალიას“ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის მთავარი სპეციალისტი, მანანა ბეგიაშვილი ესაუბრა:**

**— რატომ გახდა საჭირო ცვლილებები?**

– კანონპროექტით ხდება, სახელმწიფო საიდუმლოების სფეროში არსებული ცნებების დახვეწა, საქართველოში არსებული პრაქტიკისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ასევე, ხდება ახალი ცნებების შემოღება. ტერმინთა განმარტებაში, მთელი რიგი ცვლილებებია შემოტანილი ტერმინთა განმარტების კუთხით. ისეთები, როგორიცაა შემოწმების პროცედურა, ინფორმაციის გაცნობის საჭიროება, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გარანტირებული უფლება, სახელმწიფო საიდუმლოებასთან მოპყრობა, საიდუმლო კონტრაქტი, ინფორმაციის გადაცემის საშუალებები. კომუნიკაციისა და ინფორმაციის სისტემა. ასევე, მნიშვნელოვანი სიახლეა, სახელმწიფო საიდუმლოებასთან ინდივიდუალური დაშვებისა და სახელმწიფო საიდუმლოებასთან იურიდიული პირის დაშვების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

კანონპროექტის მნიშვნელოვანი ნოვაცია გახლავთ ასევე, კომუნიკაციისა და ინფორმაციის სისტემის ცნების შემოღება, რომელიც იძლევა, საიდუმლო ინფორმაციასთან ელექტრონული მოპყრობის შესაძლებლობას. მოგეხსენებათ, რომ მოქმედი კანონმდებლობით, კიბერსაშუალებების მეშვეობით, საიდუმლო ინფორმაციის გადამუშავება და მისი ბრუნვა ელექტრონულად დაუშვებელია, ეს მხოლოდ ნატოს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან არის შესაძლებელი. კონკრეტულად, კანონპროექტის მიღების შემდეგ, ცვლილებები შევა ასევე მთელ რიგ კანონქვემდებარე აქტებში და შესაძლებელი იქნება, ელექტრონული წესით სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის ბრუნვა. დაწესდება ასევე გარკვეული უსაფრთხოების ზომები საიდუმლო



ინფორმაციასთან ელექტრონული მოპყრობის პროცესში.

**— რა სახის ინფორმაციები დარეგულირდება ამ კანონით?**

– იმ ჩამონათვალში, რა ტიპის ინფორმაცია მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას, ეს არის მნიშვნელოვანი, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე კიბერსაშუალებების შესახებ ინფორმაცია იქნება გასაიდუმლოებული. ასევე, კანონპროექტი ითვალისწინებს ოპერატიულისამძებრო და ეროვნული უსაფრთხოების მიზნებისთვის გამოყენებული ტექნიკურ-პროგრამული საშუალებების მახასიათებლების შესახებ ინფორმაციას გასაიდუმლოების შესაძლებლობას, რაც მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოებისთვის. ასევე, მნიშვნელოვანი ცვლილებებია ეროვნულ ბანკთან დაკავშირებით, კონკრეტულად რა ტიპის ინფორმაციები მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას და რა ტიპის ინფორმაცია შეიძლება იყოს ღია. ამავდროულად, სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების გარანტირებული უფლება უნდა ჰქონდეთ კონსტიტუციით გათვალისწინებულ პირებს ყოველგვარი შემოწმების პროცედურების გარეშე. ანუ ამის უფლება ექნებათ პირდაპირ თანამდებობაზე დანიშვნის, ან არჩევისთანავე.

გაკეთდა თავი ნატოს კლასიფიცირებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, როგორ ხდება ნატოს კლასიფიცირებული ინფორმაციის დაცვა და სხვადასხვა ტიპის ტექნიკური პროცედურები, როგორიც არის ინფორმაციის განადგურება და ა.შ. ეს არის ის, რაც შეიძლება ითქვას მოკლედ.

**— თქვენ მიერ ჩამოთვლილი სიახლეები, კანონში იყო და უბრალოდ დაიხვეწა, თუ ყველა მათგანი ნოვაციაა?**

– ყველაფერი, რაზეც მე გავამახვილე ყურადღება, არის სიახლე.

**დიანა ლიპარტელიანი**
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რატომ დაკეტა უკრაინამ აეროპორტები



ხარკოვისა და დნეპროპეტროვსკის აეროპორტებმა მუშაობა განაახლეს. ხარკოვის აეროპორტის ოფიციალურ საიტზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხარკოვის აეროპორტმა მუშაობა სრული მოცულობით განაახლა, რეისები განახლდა დნეპროპეტროვსკის საერთაშორისო აეროპორტიდანაც.

ჯერჯერობით მუშაობა არ განუახლებია ზაპოროჟიეს აეროპორტს. ანტიტერორისტული ოპერაციების პრესმდივანის ვლადისლავ სელეზნევის განცხადებით, ზაპოროჟიეს აეროპორტში ისევ მიმდინარეობს ანტიტერორისტული ღონისძიებები.

აეროპორტების დაკეტვას უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების უკავშირებს უკრაინის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურიც.

თვითგამოცხადებული ნოვოროსიის საინფორმაციო სააგენტო „ნოვოროსია“ ზაპოროჟიეს აეროპორტის დახურვის შესახებ სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს. სააგენტოს ცნობით, 13 დეკემბერს ადგილობრივი დროით 23:30 წუთზე აეროპორტში შეერთებული შტატებიდან ორი სატრანსპორტო თვითმფრინავი დაეშვა, ორი საათის შემდეგ კი კიდევ – ორი „ჰერკულესი“. ე.წ მეამბოხეების დაზვერვის მონაცემით, ტვირთი, რომელიც თვითმფრინავებმა ჩამოიტანეს, ყუთებშია და მიმდინარეობს მათი გადმოტვირთვა. (ნიუპოსტი)

# რისთვის ჩავიდა „ნაციონალი“ დეპუტატი კანდელაკი გერმანიაში?

**„ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილი წევრი გიორგი აფხაიძე, რომელიც ამჟამად გერმანიაში იმყოფება, სოციალური ქსელით სტატუსს ავრცელებს: „საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის“ საერთაშორისო გეგმა ჯერჯერობით წარმატებულია, რაც სამწუხაროა. რას აკეთებს შესაბამისი უწყება?! მოკლედ, წინასწარ შერჩეულ ახალგაზრდებს (არ ვიცი, რა პრიორიტეტით არჩევენ) აძლევენ „ნაციონალური მოძრაობის“ დამადასტურებელ დოკუმენტაციას, ევროპაში აჰყავთ აღრიცხვაზე, როგორც შესაძლო რეპრესიების მსხვერპლი, კურატორი ჰყავთ გერმანია, საფრანგეთი ძირითადად, შემდეგ კი აქვთ ინსტრუქცია, ამ ხალხმა მხოლოდ იკითხონ დაწერილი მესიჯები, რომლებიც ამათი გათვლით რეპრესიების მსხვერპლი ხდება, რაც შემდეგ აისახება შესაბამის დოკუმენტში და საქართველოზე ნეგატიურად აისახება...“ — წერს აფხაიძე.**

**რა დავალებით ჩადიან გერმანიაში ახალგაზრდა „ნაციონალები“? ვინ და რა ტრენინგებს უტარებს მათ? ვინ არის დამფინანსებელი?**

**„ალია“ გიორგი აფხაიძეს ესაუბრა:**



გიორგი აფხაიძე

**— გიორგი, რა ხდება გერმანიაში?**

– საიდუმლო შეხვედრა ჰქონდათ. ეს ინფორმაცია ზუსტია, რადგან პირველწყაროსგან მაქვს. ჩამოსულები იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდა წევრები, არა მხოლოდ ის „ფეისები“, რომლებიც ტელევიზიაში ჩანან ხშირად, არამედ ახალბედებიც. ვისაც აქვს საქართველოში დავალებული მწვავე განცხადებების გაკეთება, ისინი უნდა დააზღვიონ.

**— რას ნიშნავს „დააზღვიონ“?**

– იმას, რომ, თუ დააკავებენ, წინასწარვე ეცოდინებათ, რომ პოლიტიკური თავშესაფრის პრობლემა არ ექნებათ. ამაში კი დაეხმარებიან თავიანთი ლობისტები.

**— ვინ არიან ეს ლობისტები?**

– „ევროპის სახალხო პარტია“. ამ ეტაპზე 15-მდე ახალგაზრდა ჩამოიყვანეს. მათ შორის ვაკის „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარე და არასამთავრობოდან ლაშა ფარულავა.

**— სად ცხოვრობენ, ვინ აფინანსებს მათ?**

– საკმაოდ ფუფუნებაში ცხოვრობენ, ბინებში ფულს გიორგი კანდელაკი იხდის. ეს ინფორმაცია მე მაქვს ჩემი გერმანელი მეგობრისგან. ახლაც აქაა კანდელაკი. ტრენინგები ტარდება ხშირად გერმანიაში, ლექციებზე ჩამოდიან ახალგაზრდა „ნაციონალები“, ხოლო ტრენერები ძირითადად არიან უცხოელები, ისინი ატარებენ ლექციებს.

**— რომ გკითხო, კანდელაკს ფული საიდან აქვს-მეთქი, გაგიკვირდება, ხომ?**

– კარგი რა, ფულს ვერ იშოვიდა? ერთ ამბავს მოგიყვები. რამდენიმე თვის წინ კეზერაშვილის სიძე მოიტაცეს ე.წ. კანონიერმა ქურდებმა და კეზერამ 1 მილიონ 800 ათასი გადაიხადა. რაც ქართველებს ფული ამოაცალეს, აბა, სად წაიღეს? მე ასევე ვიცი, რომ 4 „მარშრუტკა“ აპარატურა გაზიდეს „ნაციონალების“ დროს არჩევნების წაგების შემდეგ და ვანო მერაბიშვილის უშუალო დავალებით დარიგდა მაგათ „ენჯეოებში“. ესაა ლეპტოპები, ჩამწერები, კამერები... არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე მზად იყვნენ იმისთვის, რომ, თუ არჩევნებს წააგებდნენ, რას გააკეთებდნენ, როგორ მოიქცეოდნენ. ეს დაზღვევაც ადრევე ჰქონდათ გადაწყვეტილი. ამიტომაც დადიან ხშირად საზღვარგარეთ, რომ არავინ მოუსმინოს მათ, ან ვოიაჟების დეტალები არ გახმაურდეს. ისე იქცევიან, ვითომ არაფრის გაკეთებას არ აპირებენ, მაგრამ გარედან დარტყმებისთვის ემზადებიან. ამ გეგმის ბევრი დეტალი არ ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრი რამ იქნება ამ ტრენინგებში ისეთი, რაც მართლა საინტერესოა.

**„ალია“ ერთ-ერთ დასახელებულ პირს, ლაშა ფარულავას დაუკავშირდა:**

**— ლაშა, გერმანიაში რატომ დადიხართ? რა შეხვედრებს მართავთ?**

– პასპორტი განახოთ? საიდან მოიტანეთ, ან ეგ ვინ თქვა?

**— გიორგი აფხაიძე გვიყვება ამ ამბებს.**

– ეტყობა, აფხაიძემ ბევრი მოწია და ელანდება რაღაცები. რეებს ბოდავს? ჩემი ორგანიზაცია ერთი უცხოური კომპანიის პროგრამაშია, დიდი ხანია, თუ ვინმე სადმე მივდივართ ამ პროგრამით მივდივართ. იმ ორგანიზაციას, ვინც გვიწვევს, არანაირი კავშირი არ აქვს პოლიტიკასთან. ბევრი სიკეთე აქვს ჩვენი ქვეყნისთვის გაკეთებული. ამ ბოდვაზე რა გითხრა?

**სტატიის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე გიორგი აფხაიძემ გვაცნობა, რომ მას ლაშა ფარულავა დაუკავშირდა და უსაყვედურა იმის გამო, რომ ინფორმაცია გაახმაურა.**

ჟანა ასანიძე

568 00 14 14

# „უნივერსიტეტის კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და ყველა სტუდენტს შეეძლოს არჩევნებში მონაწილეობა“

## ილიაუნთან აქცია გაიმართება

**17 დეკემბერს, წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების პარალელურად, ილიას უნივერსიტეტის სტუდენტები საპროტესტო აქციას ჩაატარებენ. ისინი უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, სტუდენტების დისკრიმინაციაში სდებენ ბრალს.**

**რა ხდება ილიას უნივერსიტეტში? რას აპროტესტებენ სტუდენტები? რის გამო აქვთ შეტანილი სასამართლოში სარჩელი და რას აპირებენ, თუკი პროცესს ვერ მოიგებენ?**



**„ალიას“ ილიას უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი, თორნიკე ჩიქოვანი ესაუბრა:**

– სტუდენტური თვითმმართველობა და ზოგადად სტუდენტების დიდი ნაწილი გავაპროტესტებთ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს ქმედებას. საბჭომ, უნივერსიტეტის კანონმდებლობაში სტუდენტების არჩევის წესის შესახებ დააწესა კონკრეტული ზღვარი, სტუდენტების მხოლოდ 1%-ს აქვს საშუალება, რომ ამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. სხვას, ყველას ეზღუდება მონაწილეობა, რომ უნივერსიტეტის მართვაში ჩაერთონ. ეს საბჭო არის უნივერსიტეტში გადაწყვეტილების მიმღები. 21 წევრიდან, 5 არის სტუდენტი. ჩვენი ინტერესია, რომ ამ საბჭოში ისეთი სტუდენტები მოხვდნენ, რომლებიც სტუდენტების უფლებებს დაიცავენ. ასევე იკვეთება, რომ დეკანები ლობირებენ კონკრეტულ სტუდენტებს. არჩევენ სტუდენტებს და უცხადებენ მხარდაჭერას. ეს სტუდენტები, მერე თავისთავად ამ ადამიანების ინტერესების გამტარებლები ხდებიან და არა სტუდენტების. არაერთია ასეთი დეკანი, ამჯერად არ ვასახელებთ მათ ვინაობებს, მაგრამ, თუ საჭირო გახდება, აუცილებლად დავასახელებთ.

**— რას მოითხოვთ ამ აქციით?**

– ჩვენი მოთხოვნაა, უნივერსიტეტის კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და ყველა სტუდენტს შეეძლოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება. რაც დაწესდა, ეს არის დისკრიმინაცია და სტუდენტების უფლებების დარღვევა. ჩვენ ამ საკითხზე ბრძოლა უფრო ადრე დავიწყეთ. თვითმმართველობამ სასამართლოში შევიტანეთ სარჩელი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

**— ზღვარის დაწესების თაობაზე როდის მიიღეს გადაწყვეტილება?**

– ეს მოხდა დაახლოებით 2-3 კვირის წინ.

**— ვისი ინტერესი იყო ამ ზღვარის დაწესება?**

– რექტორატის, ადმინისტრაციის ინტერესი იყო. კონკრეტულად რექტორმა, გიგა ზედანიამ შეიტანა ამ ცვლილების მოთხოვნა.

**— ისე, რაც სტუდენტური თვითმმართველობები არსებობს, ეს სტუდენტური წარმონაქმნი იმით ხასიათდებოდა, რომ შეხმატკბილებულად მოქმედებდა არსებული პოლიტიკის სასარგებლოდ. რა ხდება ილიაუნში, რატომ შეიცვალა ეს ტენდენცია?**

– ილიას უნივერსიტეტში ეს დიდი ხანია ასე არაა. ჩვენ სულ სტუდენტების უფლებებს ვიცავთ. მსგავსი ზღვარი მხოლოდ ჩვენთანაა დაწესებული. არც ერთ უნივერსიტეტში არ გვხვდება მსგავსი რამ.

**— აქცია, ალბათ, შედეგს არ მოგცემთ, მერე რას აპირებთ?**

– ამ საკითხს არ დავტოვებთ ასე, ვიბრძოლებთ ყველა გზით, რაც კი კანონის ფარგლებში ჯდება. აქციები გაგრძელდება, თან დაველოდებით სასამართლოს გადაწყვეტილებას. მოვითხოვთ, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდეს. არ ვთვლით ამ არჩევნებს ლეგიტიმურად და უნდა ჩატარდეს იგივე წესით, რაც ადრე არსებობდა.

**— თუ სასამართლომ გადაწყვეტილება თქვენს სასარგებლოდ არ მიიღო, მაშინ რას იზამთ?**

– მაშინ, ახლად არჩეულ წარმომადგენლობით საბჭოს მოვთხოვთ ცვლილების შეტანას.

**პრეტენზიებთან დაკავშირებით, ილიას უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსთან, ანა კვანჭილაშვილთან დაკავშირება ვერ შევძელით, რის შემდეგაც სმს-შეტყობინება გავუგზავნეთ: „რატომ გახდა საჭირო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოში სტუდენტების არჩევის წესში ზღვარის დაწესება? აღნიშნულს სტუდენტები აქციებით გააპროტესტებენ და რას აპირებს ილიას ადმინისტრაცია?“ კვანჭილაშვილისგან პასუხი არც ამის შემდეგ მიგვიღია.**

დიანა ლიპარტელიანი

571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საქალაქო სასამართლოში როლანდ ახალაიას პროცესი გაიმართა



საქალაქო სასამართლოში როლანდ ახალაიას სასამართლო პროცესი გაიმართა, სადაც ბრალდების 4 მოწმე დაიკითხა. ისინი საქმეში დაზარალებულად არიან ცნობილი. საუბარია 2009 წელს ახალაიას საოლქო პროკურორად მუშაობის პერიოდზე.

ბრალდების მიხედვით, პირებს, საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ, ახალაია ფულს სძალავდა.

„პროკურატურა ცდილობს საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს. ე.წ. დაზარალებულები არ ადასტურებენ ბრალს. მათ შორის ზოგი დაზარალებულადაც არ არის ცნობილი. ეს არის პოლიტიკური ანგარიშსწორება და შურისძიება“, – განაცხადა ახალაიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## პროკურატურა ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე დამატებით საგამოძიებო მოქმედებებს ჩაატარებს



საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, ეკა ბესელიას განცხადებით: „მქონდა რამდენიმე დღის წინ ამ თემაზე საუბარი. ვიცი, რომ გამოძიებამ დამატებითი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება გადაწყვიტა“, – განაცხადა ბესელიამ.

მან კომენტარი ჟვანიას გარდაცვალების საქმეში ბრალდებული მიხეილ ძამამიას პატიმრობიდან გათავისუფლებაზეც გააკეთა.

„რაც შეეხება ძაძამიას აღკვეთის ღონისძიების შეცვლას, აქ ორი ფაქტორია. ერთი ის, რომ საპატიმრო ვადები იწურება და მეორე ის, რომ ჩვენი ხელისუფლების პერიოდში განსაკუთრებით ყურადღებას ვაქცევთ რეკომენდაციას, რომ რაც შეიძლება ნაკლები იყო პატიმრობის გამოყენების ფაქტები წინასწარი გამოძიების ეტაპზე“, – განაცხადა ბესელიამ. (ნიუპოსტი)

## „კმარა რუსეთზე ლოცვა, მათი ბაზარი ჩამოიშალა“



ბელორუსის პრეზიდენტმა ქვეყნის მთავრობას საექსპორტო პროდუქციისთვის ახალი ბაზრების მოძიების მითითება მისცა და მოუწოდა, რომ რუსეთის ბაზარი ბელარუსული პროდუქციის მთავარ შემსყიდველად აღარ ჩათვალონ.

„კმარა მუდმივად რუსული ბაზრისთვის ლოცვა, მიუხედავად იმისა რომ რუსეთი ჩვენი მოძმე ქვეყანაა. ხედავთ, მათი ბაზარი ჩამოიშალა და ჩვენც თან მივყვებით. ჩვენ 85% ვყიდდით ამ ბაზარზე და ახლა 40-45%-ია“, – აღნიშნა ლუკაშენკომ.

ლუკაშენკომ მინისტრებს რამდენიმე კვირა მისცა ახალი ბაზრების მოსაძიებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლუკაშენკოს თქმით, ქვეყანას დევალვაცია, მრეწველობის შემცირება, დეფოლტი და უმუშევრობა ემუქრება. (ნიუპოსტი)

# რატომ არ მოაქვს ქართულ მეცნიერებას მოგება და ვინ უნდა დაფინანსდეს?

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ქალბატონმა გუგული მაღრაძემ ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა, საქართველოში მეცნიერები თანამედროვე გამოწვევებს ჩამორჩნენო და, თურმე ამის შემდეგ პირად საუბრებში ღვაწლმოსილმა მეცნიერებმა ერთი ამბავი აუტეხეს: რას ჰქვია, ჩამოვრჩით, რეებს კადრულობთ, ქალბატონო გუგული, ჩვენ მსოფლიო მეცნიერების მედროშეები გახლავართ და ჯერ კიდევ არ გვაფასებთ, როგორც გვეკადრებაო.**

**რა მიმართულებით უნდა განვითარდეს საქართველოში მეცნიერება? რა უსაყვედურეს დეპუტატ გუგული მაღრაძეს? რა საკითხებია შესასწავლი და რომელი მეცნიერები უნდა დაფინანსდნენ?**

„ალიას“ **გუგული მაღრაძე** ესაუბრა:

– რამდენიმე მეცნიერმა გამოხატა აღშფოთება, თითქოს აუგად მოვიხსენიე მეცნიერები, როცა ვთქვი, ისინი თანამედროვეობის გამოწვევებს ჩამორჩნენ-მეთქი. მე აუგად არავის ვიხსენიებ, საერთოდ არ მახასიათებს ასეთი რამ. მიმაჩნია, რომ ღვაწლმოსილ მეცნიერებს უნდა ჰქონდეთ ნორმალური საარსებო პირობები, მაგრამ მეცნიერებასა და ნებისმიერ სპეციალობაში თუ სისტემატურად არ მუშაობ, ძნელია თანამედროვე გამოწვევებს უპასუხო. მე სწორედ ამას გავუსვი ხაზი.

**— ქალბატონო გუგული, თქვენ რამდენად სწორად მიგაჩნიათ, რომ მეცნიერებათა აკადემიას ბიუჯეტიდან ეძლევა ფული და ამით მთავრდება ყველაფერი? ევროპის ქვეყნებში მეცნიერებს თავიანთი გამოგონებებით იქით მოაქვთ მოგება, მილიონები და მილიარდებიც კი.**

– კი, ბატონო, ერთი მხრივ გასაგებია, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ნორმალური არსებობის საშუალება, აქ შესაძლებელია, რაღაც სხვა ფორმა მოვიფიქროთ, თუ გნებავთ, პენსია დავარქვათ, პენსიაზე დანამატი მივცეთ და გამოვხატოთ მადლიერება წარსულის გამო, მაგრამ სხვა საკითხია მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსება. ახლა, ატომური ფიზიკის განვითარება საქართველოს არ სჭირდება, ევროპაში არსებობს ერთი ასეთი ინსტიტუტი, სადაც მუშაობენ ცნობილი ფიზიკოსები. სხვათა შორის, იქ 35 ქართველი მუშაობს. დღეს ჩვენი ბიუჯეტი ნამდვილად ვერ გაქაჩავს იმდენზე, რომ რაც კი საბჭოთა პერიოდში ინსტიტუტები გვქონდა, ყველა განვაახლოთ და ავამუშაოთ. ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს პრიორიტეტები, ანუ გაირკვეს, რა გვჭირდება. საწყის ეტაპზე გამოსაყოფია დარგები, რომლებიც დაფინანსდება. მეცნიერებმა თვითონ უნდა მოიძიონ გრანტები, გაყიდონ თავიანთი გამოგონებები და ასე შემდეგ. გარდა ამისა, მეცნიერი თავის ცოდნას უნდა უზიარებდეს მომავალ თაობას, სტუდენტებს. ამ



შემთხვევაში სწავლების ანაზღაურებაც მიეცემა და უფრო მოსახერხებელი იქნება. მე მგონი, ასე უფრო ეფექტური იქნება და ამდენ საყვედურებსაც მოეღება ბოლო.

**— დღეს რა პრიორიტეტებია საქართველოში, მეცნიერებისგან რა გვჭირდება?**

– ამის განსაზღვრა ჩემთვის ახლა რთულია, მე არ ვიცი, მეცნიერების ცალკეულ სფეროებში რა ხდება და რას ფიქრობენ. ამას უნდა შესწავლა, გაანალიზება. ამას წინათ ერთი ამბავი ატეხეს, განათლების სისტემაში ალექსანდრე შელია რატომ მოიწვიეთ, ფული რატომ გადაუხადეთო? ეს კაცი ამერიკაში მუშაობს, ამერიკის მოქალაქეა და არის შეფასების სპეციალისტი. ყველა სფეროში უნდა დაიდოს ასეთი შეფასებები, უნდა გავიანგარიშოთ პერსპექტივა, რესურსი, ხარჯი და ამის შემდეგ გვეცოდინება, რა გვჭირდება. წინასწარ ამაზე ლაპარაკი ძალიან ძნელია. სხვათა შორის, ჩვენ შეფასების სპეციალისტები არ გვყავანან, უნდა მოვიწვიოთ, შეიძლება ამაში ფული არც დავხარჯოთ, როცა შელია ჩამოვიყვანეთ, ის საერთაშორისო ორგანიზაციებმა დააფინანსეს კონკურსის სახით.

**— პარლამენტში არსებობს მეცნიერებისა და განათლების კომიტეტი, საპარლამენტო დონეზე საუბრები მიდის, რომ მეცნიერებათა აკადემიაში რეფორმაა საჭირო?**

– საპარლამენტო დონეზე საუბრები არის. ამ ეტაპზე, მაგალითად, პრიორიტეტია ზოგადი საშუალო განათლება. აქ ძალიან მძიმე მდგომარეობაა და ბუნებრივია, მეცნიერებმა თავიანთი სიტყვა უნდა თქვან. რაც შეეხება მეცნიერებას, ამაზე კონკრეტული კანონი არ მიგვიღია, მაგრამ ამის გაკეთება შესაძლებელი იქნება, როცა ვითარებას შევისწავლით. ჩვენ დღეს მარტო იმას ვერ დავეყრდნობით, ვიღაცამ ორი წიგნი გამოუშვა, ვიღაცამ სადღაც ორი სიტყვა თქვა და ასე შემდეგ.

**— მეცნიერებათა აკადემია იმ ფორმით, რა ფორმითაც ჩვენთან არსებობს, პოსტსაბჭოთა სივრცეში სადამდე დარჩება?**

– ამ ფორმით შენარჩუნებულია რუსეთში, მაგრამ იქ სხვა რეალობა და რესურსებია. ასევე შეინარჩუნეს უნგრეთში, ნაწილობრივ სახელმწიფო აფინანსებს, მაგრამ ძირითადად მაინც გამოგონებებზე მუშაობენ. პრინციპში, ასე პირდაპირ არსად არ არის შენარჩუნებული. მაგალითად, ამერიკაში ცხადდება პროგრამები, კონკურსები და ვინც რომელ საკითხშია მაგარი, იმ კუთხით მუშაობს. მაგალითად, თუ სახელმწიფოს სჭირდება მუშაობა კიბოს პრობლემაზე, დაფინანსება მიდის ამ მიმართულებით. ჩვენ დღეს ამ სფეროში ისევ გვაქვს საბჭოთა სისტემა, ასე მეცნიერებას ვერ ავაღორძინებთ. კი, ბატონო, აკადემიკოსებს, მეცნიერებს უნდა ჰქონდეთ შეხვედრის საშუალება და ადგილი, რათა ერთმანეთს აზრი გაუზიარონ, მაგრამ საერთო ჯამში მეცნიერების მართვას სხვა ტიპის სტრუქტურა სჭირდება.

**გელა ზედელაშვილი**

555 48-48-61

# ვასიკო ოდიშვილმა „მაესტრო“ დატოვა?

## რა უცხადებს „ალიას“ მისი მეუღლე

ორი დღეა, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ვასიკო ოდიშვილმა „მაესტრო“ დატოვა. მთელი დღის მანძილზე ის ჟურნალისტების სატელეფონო ზარებს არ პასუხობდა და ამიტომ ვერავინ იგებდა, მართლა წავიდა თუ ინფორმაცია ჭორია. შიდა კულუარებიდან ხმა გამოვიდა, რომ „აბების“ წამყვანის არხის დატოვების მიზეზი „მაესტროს“ დამფუძნებლის მამუკა ღლონტის წასვლასთან იყო დაკავშირებული. ცნობილია მამუკასა და ვასილ ოდიშვილის მეგობრობის შესახებ და ეტყობა, ვასიკომ სოლიდარობის გამო გადაწყვიტა წასვლაო. ასეა თუ ისე, მოგვიანებით გაირკვა, რომ ოდიშვილი არსადაც არ წასულა.

**კომენტარისთვის დავუკავშირდით ვასიკო ოდიშვილის მეუღლესა და პროდიუსერს ეკა აკოზიას:**

– არა, არა, ახლა იყო ვასიკო არხზე, ჩაწერა გადაცემა და „აბები“ ნამდვილად იქნება ეთერში.

**— აბა, რა მოხდა? საიდან გავრცელდა ინფორმაცია წასვლის შესახებ?**

– არ ვიცი, ვერ გეტყვით, მაგრამ



გარწმუნებთ, ვასიკო, არსად არ აპირებს წასვლას. ჭორი საიდან აგორდა, ეგ არ ვიცი, ნამდვილად.

ამას გარდა, 16 დეკემბერს კიდევ ერთი ინფორმაცია გავრცელდა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი წამყვანი ირაკლი მაისურაძე, საქმიანობას პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში გააგრძელებს და ეკა ბესელიას თანაშემწედ დაინიშნა. ის კურირებას გაუწევს კომიტეტის თავმჯდომარის მედიასთან ურთიერთობას, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი იქნება და ამ ფაქტმა საერთოდ, ვასიკო ოდიშვილის ამბავი გადაფარა სოციალურ ქსელში: აღშფოთებულები წერდნენ, „ნაცებმა“ რომ „ქოცებთან“ ააწყვეს საქმე, სხვამ არავინ დაიტრაბახოსო. ისე, მართლაც საინტერესოა, საზოგადოებამ ზუსტად ისიც კი არ იცის, თავის დროზე კომპანია რატომ დატოვა, რადგანაც მიზეზი არც მას გაუმხელია და არც არხის ხელმძღვანელ ნიკა გვარამიას, რომელიც ბოლომდე აწვებოდა პირველ ჩვენებას და გვიმტკიცებდა, მაისურაძე ისევ ჩემი თანამშრომელიაო.

როგორ უნდა მოერგოს „ნაციონალური“ არხის სახე დღევანდელ პარლამენტში „ნაციონალების“ ერთ-ერთ ყველაზე დაუძინებელ კრიტიკოსს, ეკა ბესელიას? ამ და სხვა თემებზე გვინდოდა საუბარი ირაკლისთან, მაგრამ მისი ტელეფონი გამორთული დაგვხვდა. ვეცადეთ, დავკავშირებოდით კომიტეტის ხელმძღვანელს ეკა ბესელიას, მივწერეთ, მაგრამ საუბარი არ შედგა. მიუხედავად ჩვენი მესიჯებისა, არ გვიპასუხა არც გედი ფოფხაძემ და არც თამაზ ავდალიანმა, რომელმაც მოგვიანებით „მესიჯით“ მომიბოდიშა, რუსთაველის თეატრში ღონისძიებაზე ვართ და ვერ გესაუბრებითო.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „სუიციდის თითოეულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება“



სასჯელაღსრულების მინისტრი ციხეებში პატიმართა სუიციდისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სახალხო დამცველის შენიშვნებს გამოეხმაურა.

გიორგი მღებრიშვილის თქმით, მიმდინარეობს გამოძიება და შედეგები საზოგადოებისთვის აუცილებლად გახდება ცნობილი.

„თითოეულ ფაქტზე მიმდინარეობს სამსახურებრივი შემოწმება, აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, მიმდინარეობს გამოძიება და სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში ნათელი მოეფინება იმ ფაქტს, რასაც სახალხო დამცველი ხაზს უსვამს. შვიდი შემთხვევა დაფიქსირდა სუიციდის, შარშან ექვსი იყო“, – განაცხადა მღებრიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ხორცპროდუქტების საწარმოებსა და საცხობს საწარმოო პროცესი შეუჩერდათ

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონულმა სამმართველოებმა რამდენიმე ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუჩერეს.

ინსპექტირება ჩატარდა მცხეთაში, ი/მ „გია მამულაშვილის“ ხორცის სარეალიზაციო ობიექტში, ახალციხის რაიონის სოფელ სხვილისში – ი/მ „მარიამ პოზოიანის“ საცხობსა და გორში, ხორცის გაყინული ნახევარფაბრიკატების საწარმოში (შპს „გაამოთ“).

გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობები – ანტისანიტარია, საგნებისა და აღჭურვილობების არასათანადო დასუფთავება-დეზინფიცირება, კონდენსატის დაგროვება მაცივარში. გარდა ამისა, შპსდან „გაამოთ“ ამოღებული და დალუქულია 305 კგ სუბპროდუქტი ჯანმრთელობის ნიშანდების – ფორმა №2-ის გარეშე.

აღნიშნულ ბიზნესოპერატორებს კრიტიკული შეუსაბამობების აღმოფხვრამდე შეუჩერდათ საწარმოო პროცესი და 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ. (ნიუპოსტი)

## პოლიციამ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან ერთი პირი დააკავა



კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან, სადაც საყდრისის საკითხზე საპროტესტო აქცია გაიმართა, შენობიდან გამოვიდა ადამიანი, სავარაუდოდ, თანამშრომელი, რომელმაც აქციის მონაწილეებს შეურაცხყოფა მიაყენა, ამას კი მათი მხრიდან ხმაური მოჰყვა. მოგვიანებით უცნობი პირი პოლიციამ დააკავა.

საყდრისის გადარჩენის კომიტეტის წევრები და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები საბადოზე მიმდინარე სამუშაოების შეჩერებას უკვე მერამდენე დღეა, მოითხოვენ. (ფრონტნიუსი)

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ საჯარო სამსახურების სახელფასო და საშტატო ნუსხები შეისწავლა. დასკვნის მიხედვით, საჯარო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურების დაფინანსება 360 მილიონით, შტატების რაოდენობა კი 2 ათასით არის გაზრდილი. ორგანიზაციის განმარტებით, არსებული მონაცემებით, საჯარო მოხელეთა ანაზღაურების დაფინანსება ბიუჯეტს, დღეის მდგომარეობით 17 მილიონი ლარით მეტი უჯდება. ორგანიზაციის წარმომადგენლის,**

ჟორჟოლიანის ინიცირება და დეკემბერში მიიღეს ამ ფორმულის ცვლილება და ეს ფორმულა საკმაოდ რთულია. მანამდე კანონპროექტის ავტორები აცხადებდნენ განმარტებით ბარათში, რომ ამ ფორმულის მიხედვით საჯარო მოსამსახურეთა რიცხვი არ გაიზრდება და არც დამატებითი ხარჯები არ იქნება საჭირო ბიუჯეტიდანო. ჩვენ ავდექით და, ახალი ფორმულა შევადარეთ ძველ ფორმულას მუნიცი-

საქართველოში ყველა თვითმმართველ ორგანოში შტატების გაზრდა, ეს იმ დროს, როცა არ არსებობს არანაირი გაიდლაინი, არ არსებობს ინსტრუქცია, რატომ იყო ეს საჭირო, არ არის საჭირო აუცილებლობის დასაბუთება და ამ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ნეპოტიზმის, ან კორუფციის გამოვლენას, რადგანაც შეუძლიათ დაასაქმონ ახალი ადამიანები. მით უმეტეს, თუ საუბარია ბიუჯეტიდან 17 მილიონ ლარის გამოყოფაზე დამატებით იმისთვის, რომ შესრულდეს მათთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება, თუმცა, ვიმეორებ, არავინ ამბობს, რისთვისაა ეს აუცილებელი, ამაზეა საუბარი. წელს აგვისტომდე საერთოდ არ არსებობდა ზღვარის მომენტი და ყოველთვის გაუთავებლად იყო საუბარი გაბერილ შტატებზე. ეს შეზღუდეს, მაგრამ აგერ ორ თვეში ისევ იზრდება შტატები აბსოლუტურად დაუსაბუთებლად.

# პარლამენტმა თვითმმართველობებში ნეპოტიზმი დააკანონა?




**გიორგი ჩიხლაძის განსხვავებით, „იმის შანსი, რომ ეს იყოს ბოროტად და არამიზნობრივად გამოყენებული, არსებობს“.**

**რამდენია დასაქმებულთა საშუალო ხელფასი? რას ნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაციის მერ გაცხადებული ფრაზა, რომ თანხების ბოროტად გამოყენების შანსი არსებობს?**

**„ალიას“ გიორგი ჩიხლაძე ესაუბრა:**

**— თანხის გაზრდისა და შტატების დამატების გარდა რა გამოიკვეთა?**

– აგიხსნით, რაზეა საუბარი. როცა მიიღეს თვითმმართველობის კოდექსი, თავიდანვე კოდექსში ჩიადო, რომ თითოეულ მუნიციპალიტეტს ჰქონოდა შეზღუდული რაოდენობა, რამდენი საჯარო მოხელის დასაქმება შეეძლო. ეს იყო დამყარებული ამომრჩევლების რაოდენობაზე მუნიციპალიტეტში და ასევე მუნიციპალიტეტის საარჩევნო ოლქების რაოდენობაზე, ამ შემთხვევაში, თვითმმართველ ოლქებზეა საუბარი. ამ ფორმულის მიხედვით, ყველა თვითმმართველ ერთეულს ჰქონდა საჯარო მოხელის დასაქმების კონკრეტული ციფრი. ამის შემდეგ ამა წლის ოქტომბერში პარლამენტში შევიდა გია პალიტეტების მაგალითზე, ხომ ვიცით, რამდენი ამომრჩეველია რეგისტრირებული და თანაც ყველა მონაცემები გვაქვს და ძალიან მარტივი არითმეტიკით აღმოჩნდა, რომ ზედა ზღვარი არის 2000 ადამიანი, ეს ის ციფრია, რაც შეიძლება, დაასაქმოს თვითმმართველობამ. გამოდის, რომ თვითმმართველობას აძლევს კანონი უფლებას, კიდევ დაასაქმოს ამდენი ადამიანი, ისინი ამას აუცილებლად გამოიყენებენ და ძალიან დიდი ალბათობაა, რომ ეს შანსი ბოროტად გამოიყენონ.

**— და რა ნიშნით შეიძლება ადამიანები დასაქმდნენ, ნაცნობ-მეგობრობის?**

– როგორ გითხრათ, ერთ დღეს დაადგინეს, რომ საჭიროა მთელ

**— ნიუსში საუბარი იყო, რომ საჯარო სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურების დაფინანსება 360 მილიონი იქნებაო და საშუალო ხელფასი რამდენია? რომელ სახელმწიფო უწყებებში მოიმატეს დასაქმებულებმა?**

– ამ შემთხვევაში უკვე საუბარია ცენტრალურ სახელმწიფო აპარატზე, საქსტატის მიხედვით, საშუალო ხელფასის ზრდა მოხდა ბოლო წლებში და სახელმწიფო სექტორში საშუალო ხელფასი იზრდება საშუალოდ 656 ლარიდან 738 ლარამდე, მაგრამ ეს ორი წლის წინანდელი მონაცემებია, ახალი, 2014 წლის მონაცემები ჯერ არ გვაქვს. რაც შეეხება კონკრეტულად სახელმწიფო უწყებებს, ეს ანალიზი ჩვენ არ გაგვიკეთებია.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

# რისთვის იბარებენ თბილისის ტრანსპორტის უფროსს საკრებულოში?

**თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ცნობით, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი პაატა ჯაჭვლიანი და ტრანსპორტის ხელმძღვანელები ავტობუსის მძღოლებსა და ავტოპარკებში დასაქმებულ სხვა თანამშრომლებს შეხვდნენ, გაეცნენ მათ პრობლემებს და აღუთქვეს მაქსიმალური მხარდაჭერა, როგორც კომპანიის ადმინისტრაციის, ასევე თბილისის მერიის მხრიდან.**

**რატომ შეხვდა მძღოლებს ტრანსპორტის სამსახურის უფროსი? რატომ იბარებენ ჯაჭვლიანს საკრებულოში? რა პრობლემების მოგვარებას ითხოვენ საქალაქო ტრანსპორტის მძღოლები?**

„ალიას“ მძღოლების უფლებადამცველი, **ნიკოლოზ კაჭკაჭური** ესაუბრა:

**— ბატონო ნიკოლოზ, რაზე ისაუბრეს მძღოლებმა და ჯაჭვლიანმა?**

– არაფერი კონკრეტული, მძღოლები ამბობენ, იდგა ქუჩაში და საცობებს აკვირდებოდაო. საცობები დიდი პრობლემაა ქვეყანაში, მაგრამ ყურება უშველის? მე ვესაუბრე საკრებულოს დეპუტატს, ჯიშკარიანს, ყურადღებით მომისმინა, ვესაუბრე, რატომ არის საცობები, რა შეცდომები დაუშვა წინა ხელისუფლებამ, როგორ უნდა მოგვარდეს მძღოლების პრობლემები, როგორ უნდა გაკეთდეს გზები. მომისმინა და მითხრა, რომ გეგმავს საკრებულოს დეპუტატებთან ერთად ჯაჭვლიანის მოწვევას. შავ დღეში უნდა ჩააყენონ ეს კაცი?



**— ჯაჭვლიანს უნდა შეხვედროდით. რატომ არ შეგხვდათ?**

– არ ვიცი, ტელეფონის ნომერიც დატოვებული მაქვს და ორჯერ 5-5 წუთით შევხვდი, იცის, რომ მინდა მასთან საუბარი და სერიოზული გეგმა მაქვს პრობლემების მოგვარების. ახლა მეტროების წინ საახალწლოდ დიდი საცობები გაჩნდება, მაქვს ამ პრობლემის მოგვარების გეგმა, მაგრამ მისმენს ვინმე? გზას უნდა გადაკეთება და როგორ უნდა გადაკეთდეს, ამაზე მინდა მათთან საუბარი. ნარმანია საზღვარგარეთ იყო წასული, როგორ უნდა გადაკეთდეს გზა, ამაში უნდა გარკვეულიყო. კი, ბატონო, წავიდა, შეისწავლა სიტუაცია, მაგრამ რა კეთდება აქ? დიდი პროგრამა გვაქვს, როგორ შეიძლება გზებზე ტრანსპორტის განახევრება, ასახსნელია დეტალურად და მერე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. მძღოლების ხელფასის საკითხიც პრობლემატურია. მანქანა რომ გიფუჭდება, როგორ უნდა გააკეთო, რა სახსრებით? საცობები კი იმხელა პრობლემაა, რომ მგზავრი ჩამოდის და ფეხით მიდის. ამას წინათ შევესწარი, ავადმყოფი ბავშვი მამამ ტაქსიდან ჩამოიყვანა და ხელით მიჰყავდა იმ მანქანისკენ, ვინც წინ იდგა. ხანძარი რომ მოხდეს, როგორ უნდა მივიდეს ამ ხალხამდე დახმარება? ან სასწრაფო როგორ მივა? დრო რომ იკარგება, ხომ დაიღუპება ვინმე, ან დაიწვება?

ამ დროს, მერია არაფერს არ აკეთებს, არც გეგმა აქვს და არც სტრუქტურა. არაფერი არ დაუდია პრობლემების მოსაგვარებლად. ისეთი ხალხი სჭირდება ამ სფეროს, რომელმაც იცის. ვინ რა უნდა გააკეთოს, ისიც კი ვერ გაურკვევიათ. ეტყობა, თავიანთი ბიზნესის საკეთებლად ხელი არ ეშლებათ, ჯიბეებს გაიტენიან და ხალხი ვის ადარდებს? ის პრობლემები, რომელზეც მე თქვენ გესაუბრებოდით, როგორიცაა დისპეტჩერიზაცია, დაწესებული გადასახადები, ხელი არავის უხლია. ჩვენ მოგვცენ უფლება, რომ ავაშენოთ ეს სადისპეტჩეროები, ჩვენვე გავაკეთებთ. ამდენი ხანია, ვამბობ, მძღოლებმა საჭე მართონ, თუ ბუღალტერია აწარმოონ? თუ არ აწარმოეს, მოაქვთ კანონის სახელით ჯარიმა 200 ლარის ოდენობით. ზოგმა წერა-კითხვა არ იცის ნორმალურად და რა გეგმის შესრულებასა და ციფრებზე ედავებიან? გარეთ დგანან წვიმასა და უბედურებაში, მოვლენ თვის ბოლოს და სთხოვენ, რატომ არ იანგარიშე, რამდენი იშოვეო. ეს ჯაჭვლიანი კიდე, საცობებს ნუკი ათვალიერებს, მძღოლებს დაელაპარაკოს, მე თუ არა, სხვები ეტყვიან ამ პრობლემებზე და თქვას კონკრეტული რამე. დავრბოდით არჩევნების წინ, ვიფიქრეთ, გვეშველებოდა და ახლა შევრცხვით ამ ხალხთან. მომავალ არჩევნებში ხმა როგორ უნდა მოითხოვონ? იმდენი დაპირება მოგვცეს არჩევნებამდე და ახლა ამ ხალხს ღუპავენ. 8-კლასიან მძღოლს სთხოვენ, ჯერ ბუღალტერი იყავი და მერე ატრიალე საჭეო.

**ჟანა ასანიძე**

568 00 14 14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „სოზარ სუბარს, ალბათ, კომფორტულად ყოფნა სურს“



საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დევნილთა მინისტრის განცხადებას ეხმაურება, სადაც სოზარ სუბარი ამბობს, რომ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ოპოზიციონერი არ უნდა იყოს.

„ალბათ, სოზარ სუბარს კომფორტულად სურს ყოფნა“, – ამბობს ონოფრიშვილი.

მისივე თქმით, სუბარის უწყებასთან დაკავშირებით ბიუჯეტის შესრულებაზე მის მიერ დასახელებული ციფრები ხაზინის მონაცემებს ეყრდნობა.

„როდესაც სოზარ სუბარი ამბობს, რომ თურმე მე ტყუილს ვამბობ, ეს აბსურდია, რადგან პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი ოპერირებს ხაზინის ციფრებით. თუ ეს ტყუილია, ეს ყოფილა ფინანსთა სამინისტროს, ან ხაზინის ტყუილი. ლტოლვილთა სამინისტროს დაგეგმილი ბიუჯეტი არის 48 მილიონ ლარზე ცოტა მეტი და ხაზინის მონაცემებით, ამის 60% შესრულდა“, – აცხადებს ონოფრიშვილი. (ნიუპოსტი)

## თაკო ფხაკაძის გოგო ბაღაშვილების რძალი გახდა



„პრაიმტაიმის" დამფუძნებელს თაკო ფხაკაძეს ქალიშვილი გაუთხოვდა. მარიამი ცოლად ჯემალ ბაღაშვილის შვილიშვილს, სანდრო ხვედელიანს გაჰყვა. წყვილს ჯერ მხოლოდ ნიშნობა ჰქონდა, ქორწილს 7 ივნისს იზეიმებენ.

მარიამისა და სანდროს ურთიერთობა ზღვიდან დაიწყო და უკვე 5 წელს ითვლის. შეყვარებულთათვის არც სიშორეს დაურღვევია რომანტიკული ურთიერთობა. როგორც მარიამის მეგობრისგან ირკვევა, სანდრო ლონდონში სასწავლებლად მყოფ შეყვარებულს სიურპრიზებით ხშირად ანებივრებდა, – „ერთხელ ისე ჩააკითხა, მარიამმა არ იცოდა, მოულოდნელად ლონდონის ქუჩაში გამოეცხადა".

ლონდონში მარიამმა რვა წელი ისწავლა.

როგორც ირკვევა, სანდრო მარიამის ოჯახში მიღებული სასიძო გახლდათ და სასიდედროსაც ძალიან მოსწონდა.

თაკო ფხაკაძე: „ძალიან კარგი ოჯახიშვილია, ძალიან კარგად გაზრდილი ახალგაზრდა და, შესაბამისად, მომწონს კიდეც. რაც მთავარია, ჩემი შვილი არის ბედნიერი და კმაყოფილი. როცა შენი შვილი ბედნიერია, რა თქმა უნდა, შენც ბედნიერი ხარ".

*newposts.ge*

## სად გადავიდა „იმედიდან" სკანდალით წასული მარგო



მას მერე, რაც მარგო ლუჩკომ „შალვა რამიშვილის შოუ" დატოვა, ტელეწამყვანი „პროდაქშენისა" და „რუსთავი 2"-ის ახალ პროექტში მიიპატიჟეს. კომედია „ახალ წელს დაკარგულები" 2 იანვარს გავა საქართველოს კინოთეატრებში. მანამდე მარგოს ფილმის გადაღებებზე ვკითხეთ.

– ვთამაშობ ერთ-ერთი მომღერლის პროდიუსერის ასისტენტის როლს. ჩემთან ერთად ფილმში ძალიან ბევრი მომღერალი და მსახიობია დაკავებული. მათ შორის არის ჩემი პარტნიორი, დავით დარჩია. ყველაფერი ხდება სამცხე-ჯავახეთში. რაბათში დავიკარგე...

ჩემი გმირი შეყვარებულია ცხოვრებაზე, ადამიანებზე. არავის არ ჰგავს, უცხოპლანეტელი გოგოა. ძალიან სასაცილო სცენები გვაქვს, ერთმანეთი მოგვწონს, ფარული გრძნობა გვაქვს. დანარჩენს ფილმში ნახავთ.

ფილმში მონაწილეობენ „ქუჩის ბიჭები", აჩი მეფარიძე, რომელთანაც ძალიან სასაცილო სცენა მაქვს, ლელა წურწუმია, ლიკა ქორქია, დათო ხუჯაძე, „ფორტე", „მგზავრები", „სეიშენი"...

გადაღებები მიმდინარეობს სამცხე-ჯავახეთში, ბაკურიანში, აბასთუმანში, თბილისში. ერთი სიტყვით, ძალიან სახალისო ფილმი გელით წინ. პრემიერა 2 იანვარს გაიმართება. თვის ბოლოს კი „რუსთავი 2"-ის მაყურებელი ნახავს ამ კომედიას.

*reitingi.ge*

## „ეს ჩვენთვის სტრესი აღმოჩნდა" – თეკლას დედის პირველი კომენტარი



„ნიჭიერში" ხმაურის მიზეზი ამჯერად პატარა თეკლაა.

„ეს ბავშვი ნიჭიერი რატომ არის? კი მაგრამ, ბუშტებს ვინ ვერ გაბერავს"? – წერენ სოციალურ ქსელში და თეკლას ფინალში გადაყვანას აპროტესტებენ. ბევრის თქმით, ეს ნიკა გვარამიას დამსახურებით მოხდა. „ფეისბუკზე" განთავსებული კომენტარებით, ფინალში ყოფნას პატარა მოცეკვავე უფრო იმსახურებდა...

კომენტარები სოციალურ ქსელში:

„ბუშტების ბერვა ნიჭიერება ყოფილა", „უსამართლობაა ამ პატარას გადაყვანა, მოცეკვავე ოჯახი უფრო იმსახურებდა. არ მითხრათ ახლა, ჩაწყობა არ არისო". „ნიკას ბავშვის კლასელია და"... „თეკლა საყვარელია, მაგრამ ფინალში მხოლოდ იმიტომ არის, რომ ნიკას შვილის კლასელია", „ის პატარა, მოცეკვავე ოჯახიდან ბრწყინვალედ ცეკვავდა, ამიტომ ის უნდა გადაეყვანათ, მაგრამ, როგორც გავიგეთ ნიკას, შვილის კლასელია და ქართველი რის ქართველია, თავისი ნაცნობი რომ არ გადაიყვანოს".

ხმაურიან პოსტებს თეკლე ასლანიკაშვილის დედა შემდეგი კომენტარით პასუხობს:

– ნამდვილად ნიკას შვილის კლასელია თეკლა... მგონი, კლასელობა არ უნდა იყოს დანაშაული. ამან ნიჭიერებაზეც არ უნდა იმოქმედოს. ეს საუბრები საკმაო სტრესი აღმოჩნდა ჩვენთვის. ბევრი ვიშრომეთ, რომ თეკლა ფინალში მოხვედრილიყო, ამიტომ მოლოდინიც გვქონდა.

*newposts.ge*

## „გაიღვიძებს და გავარკვევ" – გეგა ჩიჩუას ოჯახის წევრებმა არ იციან, გახდა თუ არა ანა მარგველაშვილი მათი რძალი



გათხოვდა თუ არა ანა მარგველაშვილი, ეს კითხვა ამ დრომდე პასუხგაუცემელია. ამბები.გე-მ ინფორმაციის გადამოწმება ანა მარგველაშვილისა და გეგა ჩიჩუას მეგობრებთან სცადა, თუმცა მათ ამ თემაზე საუბრისგან თავი შეიკავეს. ამბები.გე მუსიკოს ლევან ჩიჩუას დაუკავშირდა, რომელიც გეგას ძმა არის.

– ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით. ნამდვილად არ ვიცი, რადგან მე სულ სტუდიაში ვარ და ვმუშაობ... რამდენი ხანია ერთად არიან. მათ ფოტოებზეც მიხვდებით, რომ შეყვარებულები იყვნენ... მე არ ვერევი ჩემი ძმის პირად ცხოვრებაში, არც მისი და ანას ურთიერთობაში. მას თავის ცხოვრება აქვს, მე – ჩემი. ჯერჯერობით არ ვიცი, იქორწინა თუ არა ანაზე, გაიღვიძებს და გავარკვევ.

ამბები.გე-ს ზარებს ლევან ჩიჩუამ მოგვიანებით აღარ უპასუხა. დავუკავშირდით გეგას ოჯახს. კითხვაზე, იქორწინა თუ არა გეგამ ანა მარგველაშვილზე, გვიპასუხეს, რომ სჯობდა ამ თემაზე მოგვიანებით თავად გეგასთან გვესაუბრა, თუმცა მან ჩვენთან საუბარი არ ისურვა.

შეგახსენებთ, რომ ინფორმაცია ანა მარგველაშვილის გათხოვების შესახებ მას შემდეგ გავრცელდა, რაც წყვილმა „ფეისბუკზე" მიუთითა, რომ ისინი დაქორწინდნენ.

*ambebi.ge*

## „ნიჭიერის" მონაწილე ციხის ჯალათი?



ამ კონკურსანტის გამოსვლამ ბევრი შოკში ჩააგდო. „არანორმალური, მაზოხისტი, სადისტი", – ამ სიტყვებით შეამკეს კორნელი მაისაშვილი. მას სოციალურ ქსელში ჯალათიც უწოდეს. როგორც „ფეისბუკზე" წერენ, ის ციხეში მუშაობდა და პატიმრებს სამაგალითოთ სჯიდა.

„თავის მართლების პოზიციაში ყოფნა არ მიყვარს. თუ დამიჯერებთ, მართალი ვარ", – ამბობს კორნელი მაისაშვილი.

– ამაზე ლაპარაკი არ მინდა, რაა. მე სპეცსამსახურებშიც ვმუშაობდი, პოლიციაშიც... სპეცსამსახურში შევარდნაძის დროს ვიყავი, მერე თავდაცვის სამინისტროში მინისტრის დაცვაში...

დაცვაში რომ მუშაობ, ვიღაცის დაცვა გიწევს, იქ უბრალოდ ვინმეს წინ რომ დაუდგე და არ გაატარო, იმასაც სისასტიკეს ეძახიან.

დღესაც სასჯელაღსრულების სისტემაში ვმუშაობ, რუსთავში, მაგრამ პატიმრები არ გვყავს, რემონტია ჩვენთან. ასეთი ჩასაფრებული, ინტრიგანი ადამიანი ბევრია, ეგენი მეც ვნახე...

*newposts.ge*

## დეისაძე პავლიაშვილსა და გვერდწითელზე – „აქაც ბევრი გყავს ეგეთები, უბრალოდ, იმათაც გვიან გაიცნობ"...



ერეკლე დეისაძე სოსო პავლიაშვილისა და თამარ გვერდწითელის დუეტს სოციალურ ქსელში ეხმაურება.

– მიხარია ეგეთი რამეები, ეს ის ხალხია, რომელიც შენ გააფეტიშე, ჩემო ქვეყანავ, და სიმართლის მთქმელი ადამიანები შენი მტრები გგონია და ვინც გეფერება, იმას უწვები, ამიტომ რასაც იმსახურებ, იმის ღირსი ხარ, აქაც ბევრი გყავს ეგეთები, უბრალოდ, იმათაც გვიან გაიცნობ, მანამდე კი ისინიც გიყვარდეს, – წერს დეისაძე „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე.

ცნობისთვის, რამდენიმე ხნის წინ სოციალურ ქსელში სოსო პავლიაშვილისა და თამარ გვერდწითელის დუეტი გავრცელდა, რომელშიც ისინი რუსეთს უმღერიან.

*daijesti.pia.ge*



## ვერიკო ტურაშვილს შვილი შეეძინა



მომღერალი ქალიშვილის დედა გახდა.

გოგონას სახელად ნატაშკა დაარქვეს, ის სამი კილოგრამი დაიბადა. მომღერალმა ახალშობილის სურათი სოციალურ ქსელში გაავრცელა.

*daijesti.pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

## იაპონელებმა კოსმონავტებისთვის სპეციალური ტრუსები გამოიგონეს



სკაფანდრი გასაგებია, რადგან მის გარეშე კოსმონავტი ჩვენი პლანეტის ფარგლებს ვერაფრით გასცდება, მაგრამ კოსმოსში გასასვლელად თუ სპეციალური ტრუსებიც იყო საჭირო, ვაღიარებთ – ეს კი ნამდვილად არ ვიცოდით.

როგორც ირკვევა, საერთაშორისო კოსმოსური სადგურის იაპონელი ეკიპაჟი კოიტი ვაკატა საკმაოდ უჩვეულო ექსპერიმენტში იღებს მონაწილეობას. თურმე, დედამიწის გარშემო ფრენისას ის საკუთარ სხეულზე პრინციპულად ახალი ტიპის საცვლებს ცდის.

ტრუსების თავისებურება ის გახლავთ, რომ ის მიკროსკოპული ქიმიური ნაწილაკებით არის გაჯერებული, რაც საშუალებას იძლევა ბაქტერიები მომენტალურად გაანადგუროს, სულ რამდენიმე წამში გააშროს სისველე, არის ცეცხლგამძლე (აბა, რა გეგონათ, ცეცხლისგან დაცვა „იმას“ არ უნდა?!), არ ახდენს სტატიკური ელექტრობის აკუმულირებას და ასე შემდეგ.

იაპონური მედიის ინფორმაციით, „ახალი თაობის“ ტრუსები ვინმე იუშიკო ტაიას ეკუთვნის, ქალს, რომლის მეუღლეც კოსმონავტია.

– ჩემი ნაწარმი განკუთვნილია არა მხოლოდ კოსმონავტებისთვის, არამედ იმ ადამიანებისთვისაც, რომლებსაც ექსტრემალურ პირობებში მუშაობა უწევთ და საცვლების გამოცვლის დრო, უბრალოდ, არ აქვთ, – განმარტავს იუშიკო ტაია.

როგორც უკვე გითხარით, ჯერჯერობით, იაპონური ტრუსების მხოლოდ ტესტირება ხდება და ის ქსელში არ გასულა.

*golosscience.com*

## პროდუქტი, რომელიც ქალურ ლიბიდოზე დადებითად მოქმედებს



მუდმივი ყურადღება, მრავალფეროვანი სიურპრიზები და ბოლოსკენ – რომანტიკული ვახშამი, მამაკაცს მშვენიერ სქესთან წარმატებული ურთიერთობის დამყარების რეალურ შანსს აძლევს და თუკი საქმე „იქამდეც“ მივიდა, ნამდვილად არ გაწყენდათ იმ პროდუქტების ჩამონათვალის გაცნობა, რომლებიც ქალურ ლიბიდოზე შესანიშნავ გავლენას ახდენენ.

სპეციალისტები განსაკუთრებულ აქცენტს რამდენიმე პროდუქტზე აკეთებენ, რომლებსაც სექსუალური ფუნქციების აღდგენა და შეგრძნებების გამძაფრება შეუძლიათ.

გაინტერესებთ, მაინც, რომელ პროდუქტებზეა საუბარი?

მაგალითად, ხიზილალა და ხამანწკები.

ორივე პროდუქტი მდიდარი ყოფილა თუთიით და აქედან გამომდინარე, სასარგებლოა არა მხოლოდ მშვენიერი სქესის წარმომადგენლებისთვის, არამედ მამაკაცებისთვისაც.

თუკი ეს პროდუქტები შედარებით მიუწვდომლად გეჩვენებათ, ასეთ შემთხვევაში, საკვებში ცხარე წითელი წიწაკის დამატება შეიძლება, ოღონდაც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დანამდვილებით იცით, რომ თქვენი პარტნიორის საჭმლის მომნელებელი სისტემა გამართულად მუშაობს.



ქალის სექსუალური მოთხოვნილებების ასამაღლებლად დადებით შედეგს იძლევა ნივთიერება, რომელსაც იპოვით სატაცურში, გინკგოში, შოკოლადში, ლელვში, ბანანებში და ასე შემდეგ.

*pronowosti.ru*

## კრემატორიუმმა მიცვალებულის მიღებაზე უარი თქვა, – ძალიან მაღალიაო



კუზიანს კი ასწორებს სამარე, მაგრამ, როცა ადამიანი მაღალია და თან დამარხვის ნაცვლად, მას დაწვას უპირებენ, რა უნდა ქნას კრემატორიუმმა? სხვისი არ ვიცით, მაგრამ ბრიტანეთში ასეთ მიცვალებულზე სასტიკს უარს ამბობენ.

გრეჰემ მელორის ოჯახი ძალიან დიდხანს ვერ ახერხებდა მიცვალებულის კრემაციას, რადგან მის მიღებას არც ერთი კრემატორიუმი არ თანხმდებოდა.

ჭირისუფალს კრემატორიუმების თანამშრომლები ეუბნებოდნენ, რომ იღებდნენ მხოლოდ ისეთ კუბოებს, რომელთა სიგრძე 7 ფუტს (დაახლოებით 2 მეტრი) არ აღემატებოდა. არადა, გრეჰემ მელორი ლამის 8 ფუტი, ანუ 2,3 მეტრი ყოფილა.

იმისთვის, რათა საბოლოო ჯამში, მიცვალებულისთვის წესი აეგოთ, ჭირისუფლებს რამდენიმე ასეული კილომეტრის გავლა მოუხდათ – გრეჰემ მელორის ცხედარი მეზობელ ქალაქში დაწვეს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მელორმა 1967 წელს სტაფორდშირის საგრაფოს ყველაზე მაღალი მამაკაცის საპატიო წოდება მიიღო, რამაც მაშინ ბრიტანელი ძალიან გაახარა, თუმცა სიკვდილი კი ძალიან გაუჯანჯლდა საცოდავს...

*vesti.ru*

## იტალიურ ქალაქში ნასვამ მძღოლებს ვირებზე შემოსვამენ



აბა, როგორ შეიძლება, ჯერ გემოზე გამოთვრე და მერე საჭეს მიუჯდე?! სამწუხაროდ, ბევრ ადამიანს მოსალოდნელი ჯარიმის შიში სულაც არ აქვს. ჰოდა, იტალიური ქალაქის გოდელა-დისანტ'ურბანოს ხელისუფლებამ ასეთი ადამიანების თავმოყვარეობის გამოცდა გადაწყვიტა - ნასვამ მძღოლებს ვირებზე შემოსვამენ და სახლში ასე მიაბრძანებენ.

იდეის ავტორი ქალაქის მერი ალესანდრო ბონეტუა, რომლის განკარგულებითაც, მთვრალი მძღოლების ვირებზე გადასმა უახლოესი მომავლიდან დაიწყება.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში ხელისუფლებამ შინაური ცხოველების ჩაბარება დაიწყო, რომლის მიზანიც მოსახლეობის მოტორიზაცია ყოფილა. ამ უცნაური პროექტის ფარგლებში, ვირებისა და ცხენების პატრონები, რომლებიც შინაურ ცხოველებს სახელმწიფოს ჩააბარებენ, სანაცვლოდ ფულს, ახალ ავტომობილს ან საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში სპეციალისტების დახმარებას მიიღებენ.

*rosbalt.ru*

## ინდოეთში დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობას იღებენ... ჰიტლერი, ფრანკენშტეინი და კენედი



ადრეც არაერთხელ მოგვიყოლია მშობლების მიერ თავიანთი შვილებისთვის შერჩეულ ძალიან უცნაურ სახელებზე და როგორც ჩანს, კიდევ ბევრჯერ მოგვიწევს ამ თემაზე საუბარი.

ამჯერად ინდოეთის მაგალითს მოგიყვანთ, სადაც უახლოეს მომავალში მეგჰალაის შტატის პარლამენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს.

ერთი შეხედვით, ინდოეთის რომელიღაც შტატის დანიშნული არჩევნები დიდად საინტერესო აბა, ვისთვის უნდა იყოს, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რამდენად უცნაური გვარ-სახელები აქვთ კანდიდატებს, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

ცნობილია, რომ, საერთო ჯამში, არჩევნებში 345 კანდიდატი იღებს მონაწილეობას, მათ შორის კი არიან: ფრანკენშტეინ მომინი, ფელდმარშალ მოფნიანგი, ჯიმ კარტერ სანგმა, კენედ მარაკი და სხვები.

ყველაზე მეტ ინტერესს მაინც 54 წლის ადოლფ ლუ ჰიტლერი იმსახურებს, რომელსაც არჩევნებში გამარჯვება უკვე სამჯერ ჰქონია მოპოვებული.

მისი განმარტებით, ასეთი უცნაური გვარ-სახელის მიუხედავად, ფაქტობრივად, უპრობლემოდ მოგზაურობს.

– ნამყოფი ვარ გერმანიასა და ამერიკაშიც, მაგრამ ვიზაზე უარი არასოდეს უთქვამთ. უკითხავთ ხოლმე, რატომ მაქვს ასეთი სახელი და მეც უბრალოდ, ვპასუხობ ხოლმე: ის მე არ შემირჩევია, – ამბობს ერთ-ერთი კანდიდატი.

*korrespondent.net*

## ამერიკელი ქალი 16 წლის შვილის დაბადების დღეზე სტრიპტიზის მოცეკვავის მიწვევის გამო დააპატიმრეს



მართალია, შვილის გახარება უნდოდა, მაგრამ ისეთი პრობლემები შეექმნა, ალბათ, საკუთარი შიშველი სხეულის დანახვის სურვილიც კი დიდხანს აღარ ექნება.

ამერიკელი ჯუდი ვიჯერი ნიუ-იორკის ერთი პატარა სოფლიდან პოლიციამ იმის გამო დააკავა, რომ თავის 16 წლის ვაჟის დაბადების დღეზე სტრიპტიზის მოცეკვავე მიიწვია.

ცნობილია, რომ დაბადების დღეზე 80-მდე ადამიანი იყო მიწვეული, მათ შორის იყვნენ 13 წლის და უფრო პატარა ასაკის მოზარდებიც.

წვეულების შესახებ პოლიციამ სოციალური ქსელის მეშვეობით შეიტყო - ერთ დაუფიქრებელ ნაბიჯს ჯუდი ვიჯერმა მეორე მიაყოლა და ფოტოები „ფეისბუკზე“ ატვირთა.

სამართალდამცველების განმარტებით, ჯუდი ვიჯერის დაპატიმრების მიზეზი ის გარემოება გახდა, რომ მან წვეულების არასრულწლოვანი მონაწილეები საფრთხეში ჩააგდო. იმ შემთხვევაში, თუკი დაკავებულს ბრალი დაუმტკიცდა, 1 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

*lenta.ru*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03




– გეი-აღლუმის დარბევისას, სპეცრაზმს 77 რეზინის ხელკეტი დაეკარგა...

*****

იერუსალიმში თოვლი მოვიდა. არმიამ გზების გასაწმენდად ქუჩებში სამხედრო მანქანები გაამწესა...

მოხუცი ებრაელი ავტობუსის გაჩერებაზე დგას, მის გვერდით რუსი ტურისტები ხმამაღლა ლაპარაკობენ...

შეშფოთებულმა ებრაელმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

– თოვლი... ტანკები... რუსები... სად ვარ?!

*****

სასწრაფო დახმარების ექიმი პაციენტს:

– რა გაწუხებთ?

– ეეჰ, ინფორმაციის გაჟონვა მაწუხებს, ჩემო ბატონო!

– და რაშია საქმე?

– რაშია და „ბალზამიროვშიკი“ თქვენზე ადრე მოვიდა!..

*****

1. არ იფიქრო.
2. თუ ფიქრობ – არ თქვა.
3. თუ ფიქრობ და ამბობ – არ დაწერო.
4. თუ ფიქრობ, ამბობ და წერ – ხელი არ მოაწერო.
5. თუ ფიქრობ, ამბობ, წერ და ხელს აწერ – ნუღარ გაგიკვირდება!..

*****

გინეკოლოგი ახალგაზრდა ქალს:

– რამდენ მამაკაცთან გქონდათ სქესობრივი კავშირი?

– ალბათ, ხუთ-ექვსთან...

– არც ისე ბევრია...

– ჰო, რაღაც ამ კვირაში საქმეები ისე ვერ წავიდა...

*****

იელოვას მოწმეები, რომლებმაც ზარი მთვრალი ფილოსოფოსის კარზე დარეკეს, ნახევარ საათში ისლამზე პირდაპირ დომოფონთან მოექცნენ...

*****



– რატომ დუმს გენერალი?

– ფიქრობს... საერთოდ, ჩვენთან, არმიაში, ასეა: თუ გენერალი დუმს, ესე იგი ან ფიქრობს, ან კიდევ – პორტრეტია!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მოწყენილობა, მოდუნება
2. ხის გრძელცხვირა ბიჭუნა
3. ერთიანი დიდი ქვა
4. ძვ. სამეჯლისო ცეკვა
5. მეფედ კურთხევა
6. თვითმფრინავების სადგომი
7. პოეტი ... მაჭავარიანი
8. წვრილი ფული საფრანგეთში
9. ყელყურის ექიმი
10. ჩაიკოვსკის ბალეტი
11. იუპიტერის თანამგზავრი
12. ქალაქი იმერეთში
13. ტყის ფრინველი
14. კედელზე დამაგრებული ფიცარი
15. არქიტექტურული სტილი
16. პერო. „... მზეთუნახავი“
17. ნაბიჯი ბალეტში
18. ინერტული აირი
19. ხერხემლის ძვალი
20. ძიძა
21. პატარა ტანის ძაღლი
22. შინაური ფრინველი
23. ცელქი
24. სიმაღლის მიხედვით დგომა
25. მოკრივე ... ჰოლიფილდი
26. კათხა
27. მწერალი გოგლა ...
28. ჩანჩქერი აშშ-ში
29. ზაფხულის თვე
30. იაზონის გემი
31. ქიმიური ელემენტი
32. იუველირი, ანუ ...
33. მკურნალობა ნემსის ჩხვლეტით
34. მუხის ნაყოფი
35. პატარა ტანის ფრინველი
36. ველური ვაშლი
37. „ქაჯანა“ ავტორი
38. სახელურიანი ჭიქა
39. მწერალი შალვა ...
40. ახალი წელი გურიაში
41. მსახიობი ედრიან ...
42. ვინც რკინის ნაკეთობებს ამზადებდა
43. ფინეთი, ანუ ...
44. მხ/ფ „... მზე“
45. ისტორიული ქალაქი ინდოეთში
46. იტალიის დედაქალაქი
47. ... კუზანოვი
48. ჟან-კლოდ ... დამი
49. მსახიობი ... დურბინი
50. „სურამის ციხე“ ავტორი
51. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
52. საერთო ევროპული ვალუტა
53. მექსიკელის ფერმა
54. მდინარე გერმანიაში
55. საყრდენი ჯოხი
56. შაბათ-საღამო
57. ... ბურთი და ... მოედანი
58. კომპოზიტორი რიმსკი-...
59. თეთრი მინერალი სკოლაში
60. პურის კიდე
61. ხის ქერქ-ქვეშა ნაწილი
62. პატარა ტანის მტაცებელი ცხოველი
63. უცნობი ადამიანი
64. მწერალი ... დგებუაძე
65. ქალაქი ქვემო ქართლში
66. ... დასთეს, იმას მოიმკი
67. ირანში: ... ჰომეინი
68. იურიდიული პირი
69. რუს მეფეთა დინასტია
70. სიმძიმე საჰაერო ბურთზე
71. „ზოგი ჭირი მარგებელია“ პერსონაჟი
72. საზღვაო კურორტი მაგნიტური ქვიშით გურია-ში
73. ფანდი ჭიდაობაში
74. მოკლე კაბა
75. უპირველესი საქმე
76. ქალაქი გერმანიაში
77. კედლის შანდალი
77ა. ... მურომეცი
78. ბრტყელი თევზი
79. მწერალი მიო ...
80. „... ურემი გადაბრუნდება“
81. სწავლის ... მწარე არის
82. წყლის სამგზავრო ჭურჭელი
83. ლითონი
84. მომღერალი ... მორისეტი
85. ცხენზე დასაჯდომი
86. მსახიობი ... ბრანდო
87. უნივერსიტეტი ... მატერი
88. ბულგარული ფულის ერთეული
89. მატარებლის შემადგენელი
90. ... მორჩილაძე
91. ებრაული სალოცავი ტაძარი
92. მსახიობი სიმონა ...
93. რეჟისორი ... დე ბონტი
94. მწერალი რედიარდ ...
95. რუსული რევოლუც. გაზეთი
96. ტბა კოლხეთის დაბლობზე
97. პაბლო პიკასოს ანტიფაშისტური ტილო
98. დაბა გურიის მხარეში
99. ბამბის თხელი ქსოვილი
100. ვაჟიშვილი
101. მუხის ქერქი
102. ფირმა „...-პარი“
103. მსახიობი ... რივზი
104. ტბა თბილისში
105. მსახიობი მეგ ...
106. მუზების მფარველი ღმერთი
107. მსახიობი კოტე ...
108. ქალაქი პოლონეთში
109. ...-ვეგასი
110. პოლიტიკური ორგანიზაცია
111. კურორტი ბულგარეთში
112. ადამიანების მწკრივი სალაროსთან
113. ტვირთი, ანუ ...
114. ჯუჯა საშეფო სახ-...
115. აუქციონზე გატანილი ნივთი
116. ამერიკული კინოაკადემიის ჯილდო
117. ... ძედუნი
118. ერთუჯრედიანი ორგანიზმი
119. ზღვის უბე
120. გიგანტური ზომის ადამიანი
121. მტაცებელი თევზი
122. ხელოვნური ვარცხნილობა
123. მსახიობი ... ზეტა-ჯონსი
124. მსახიობი ... ლამბერტი
125. „ჩვენი ეზო“ ... ვასასი
126. შიში, ელდა
127. მხატვარი ... თოიძე
128. მტაცებელი ფრინველი
129. ვულკანი სიცილიაზე
130. არგენტინული ჩაი
131. ... დაიჭირავს სიკვდილსა
132. რიცხვები: ... და კენტი
133. მხ/ფ „... ქქია“
134. ნორვეგიის სანაპირო ყურე
135. ძროხის ნაშიერი
136. სარწმუნოება ზოგადად
137. ფანჯიკიძე. „მეშვიდე ...“
138. მეფის ტიტული ძველ ეგვიპტეში
139. რიცხვი 3,14
140. დისნეის შვლის ნუკრი

პასუხები: 1. მელანქოლია; 2. ბურატინო; 3. მონოლითი; 4. გალოპი; 5. კორონაცია; 6. ანგარი; 7. მუხრან; 8. სანტიმი; 9. ლარინგოლოგი; 10. „მაკნატუნა“; 11. იო; 12. ხონი; 13. კოდალა; 14. თარო; 15. როკოკო; 16. მძინარე; 17. პა; 18. ნეონი; 19. მალა; 20. გადია; 21. ფინია; 22. ციცარი; 23. ანცი; 24. რანჟირი; 25. ევანდერ; 26. სირჩა; 27. ლეონიძე; 28. ნიაგარა; 29. ივლისი; 30. „არგო“; 31. კობალტი; 32. ოქრომჭედელი; 33. აკუპუნქტურა; 34. რკო; 35. სკვინჩა; 36. მაჟალო; 37. ლომოური; 38. ფინჯანი; 39. დადიანი; 40. კალანდა; 41. ბროუდი; 42. მჭედელი; 43. სუომი; 44. უძინართა; 45. აგრა; 46. რომი; 47. ივა; 48. ვან; 49. დინა; 50. ჭონქაძე; 51. კოსტა-რიკა; 52. ევრო; 53. რანჩო; 54. რაინი; 55. ყავარჯენი; 56. კვირაძალი; 57. ჰა; 58. კორსაკოვი; 59. ცარცი; 60. ყუა; 61. მერქანი; 62. ტურა; 63. ინკოგნიტო; 64. ორდე; 65. მარნეული; 66. რასაც; 67. აიათოლა; 68. ნოტარიუსი; 69. რომანოვი; 70. ბალასტი; 71. ბერუა; 72. ურეკი; 73. სარმა; 74. მინი; 75. პრიორიტეტი; 76. ზაარბრიუკენი; 77. ბრა; 77ა; ილია; 78. კამბალა; 79. არაგვისპირელი; 80. სამან; 81. ძირი; 82. მათარა; 83. სპილენძი; 84. ალანის; 85. უნაგირი; 86. მარლონ; 87. ალმა; 88. ლევი; 89. ვაგონი; 90. აკა; 91. სინაგოგა; 92. სინიორე; 93. იან; 94. კიპლინგი; 95. „ისკრა“; 96. პა; 97. „გერნიკა“; 98. ჩოხატაური; 99. ჩითი; 100. ძე; 101. კორპი; 102. ისი; 103. კიანუ; 104. ლისი; 105. რაიანი; 106. აპოლონი; 107. მახარაძე; 108. ლოძი; 109. ლას; 110. პარტია; 111. ვარნა; 112. რიგი; 113. ბარგი; 114. ლოტი; 116. „ოსკარი“; 117. მაო; 118. ამება; 119. ყურე; 120. გოლიათი; 121. ბარაკუდა; 122. პარიკი; 123. კეტრინ; 124. კრისტოფერ; 125. დეიდა; 126. ზაფრა; 127. მოსე; 128. არწივი; 129. ეტნა; 130. მატე; 131. ვერ; 132. ლუწი; 133. ბათა; 134. ფიორდი; 135. ხბო; 136. რელიგია; 137. ცა; 138. ფარაონი; 139. პი; 140. ბემბი. იკითხება: ნატალი პორტმანი.

# რუსული „ნოსტალგია“ საბჭოთა კავშირზე

ცირკში მიდის ორი „რუსი“:
ყაზახი და ბელორუსი.
ქალსა ჰქვია ტანია,
კაცს კი ძია ვანია.
ცოლი არის მქსოველი-
გაუგია ბალზაკი.
ქმარი მეეზოვეა-
მეტად უყვარს არაყი.
ესეც ცირკის შენობა,
დაეძებენ სკამებსა,
როგორც იქნა მოთავსდნენ
აცეცებენ თვალებსა.
დაიქუხა ორკესტრმა,
წარმოდგენა იწყება:
გაინაბა ცოლ-ქმარი
ელით თავდავიწყება.
აკრობატმა თაღებქვეშ
სწრაფად შეჰკრა კამარა,
ძია ვანია ჩუმ-ჩუმად
არაყს წრუპავს ჩქარ-ჩქარა.
ერთი სიტყვით ოჯახი
„სულიერად“ ისვენებს,
ცარიელი ბოთლი კი
სკამის ქვეშ განისვენებს.




1. ლევან წულაძე, იგივე ...
2. იტალიური ღვეზელი
3. კამეჩის ნაშიერი
4. რეჟისორი ბერნარდო ...
5. მტაცებელი თევზი ამაზონში
6. ფერმწერი სანდრო ...
7. ზღვის ღმერთი ბერძნულ მით.-ში
8. „ანტიგონე“. ავტორი
9. ამ მდინარეში მოინათლა ქრისტე
10. ძვ. რომის იმპერატორი
11. მდინარე აჭარაში
12. ცხოველური ცილა, ანუ ...
13. კირიანი წყალი
14. დარტყმით ამობურცული ადგილი
15. ამფითეატრი რომში
16. ... ქუდად არ მიაჩნია
17. „... გინახავს, ვეღარ ნახავ“
18. მსაჯი, ანუ ...
19. ლეონარდო ... ვინჩი
20. წყალქვეშ სასუნთქი აპარატი
21. მხ/ფ. „... მარჯვენა“
22. ვარსკვლავთა გიგანტური სისტემა
23. სევდა, ნაღველი
24. მუჭი, ანუ ...
25. მსახიობი ... კილმერი
26. სიმებიანი მუსიკ. საკრავი ხემით
27. რეზო გაბრიაძე. „უცხო ...“
28. აზერბაიჯანის დედაქალაქი
29. „ერთხელ პატარა ... დასცხა და წყალი მოსწყურდა“
30. ერაყის დედაქალაქი
31. რემბრანდტის ნახატი „... შვილის დაბრუნება“
32. შვეიცარიის დედაქალაქი
33. მათემატიკური უცნობი
34. მსახიობი მეთიუ ...
35. წელიწადი 366 დღით
36. პრიზები: ოქრო, ვერცხლი, ...
37. საძოვარი ველი
38. ცხენის რძის სასმისი
39. დავით კლდიაშვილი. „... ბედნიერება“
40. რას უჩნდება ციროზი
41. სისხლძარღვი
42. მაღალი ხარისხის ოქრო
43. შიფრი
44. ჰარი პოტერი: დენიელ ...
45. მხ/ფ. „... ტრეისი“
46. მდინარე პაკისტანში
47. ცრურწმენული აკრძალვა
48. ბუჩქის კაუჭებიანი ნაყოფი
49. გაფუჭებული კარაქის გემო
50. მსახიობი ჯულიეტა ...
51. ადგილი თეატრში
52. მცველი, გუშაგი
53. ქართული სამარკო ღვინო
54. მსახიობი ... ელექტრა
55. ფორტეპიანო
56. ნისლი
57. იაპონური არაყი
58. რაიონი აჭარაში
59. ბაბუა, ანუ ...
60. იაპონური თეატრი
61. ინგლისელი ფიზიკოსი ერნესტ ...
62. უკანონოდ მონადირე
63. მხ/ფ. „თუში მეცხვარე“. ლექსოს როლში ირაკლი ...
64. საყურე წარბზე, ანუ ...
65. წერილი, ეპისტოლე (ძვ.)
66. მხ/ფ. „მატრიცა“. მორფიუსის ხომალდი
67. გადაბრუნებული ასო დელტა
68. მულტფილმი „... და ზაქრო“
69. შეზღუდული კვება
70. ყანწის დასამზადებელი მასალა
71. რეჟისორი ლარს ... ტრიერი
72. რეჟისორი ... რასელი
73. მოლაპარაკე ფრინველი
74. მასობრივი სცენა სპექტაკლში
75. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში
76. პულსის ადგილი ხელზე
77. გადაჭრილი ხის ნარჩენი
78. სიღათას, ანუ ... ძილი
79. სიტყვა. ნიშნავს კუთვნილებას
80. მსახიობი ... კალკინი
81. ბარდი ... ვისოცკი
82. ... ვაისმიულერი
83. ღლავი
84. შვედური ჩურდა
85. კერძების ჩამონათვალი რესტორანში
86. ერთი ასაკის ადამიანები
87. მწერალი ... სვიფტი
88. ირანში: ... ჰომეინი
89. ზღვის ცხოველი ჩვეტიანი ცხვირით
90. ხეზე დაბალი მცენარე
91. ქალის მიდა სამოსი
92. არამჭრელი, ანუ ...
93. „ჰამლეტი“. პერსონაჟი
94. გარეული ფრინველი
95. ანტონ ჩეხოვი. „... ვანია“
96. ბანკიდან აღებული სესხი
97. ჭრილი ბანიანი სახლის ჭერში
98. აშშ-ს ერთ-ერთი შტატი
99. მსახიობი ... ჰარისი
100. მოქანდაკე ელგუჯა ...
101. ბუჩქნარიანი ველი ბრაზილიაში
102. კავშირებითი სიტყვა
103. ყურძნის გამხმარი მარცვალი
104. ჰაშეკის გმირი: ჯარისკაცი ...
105. სასვენი ნიშანი
106. შეყვარებული, ანუ ...
107. სამზარეულოს ჭურჭელი
108. ავტომრბოლელი ... ლაუდა
109. მწვრთნელი ... კაჩალინი
110. ციური სხეული
111. ილია ჭავჭავაძე. „ოთარაანთ ...“
112. კანის დაავადება
113. სირაქლემას სახეობა
114. ბალახი
115. ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში
116. ... არმანდო მარადონა
117. პატარა მტაცებელი ცხოველი
118. ბერის ოთახი
119. მსახიობი ... პრესტონი
120. სამეჯლისო ცეკვა
121. შანსონიე ... მონტანი
122. ... გორან ერიქსონი
123. ბოშათა საბჭოთა თეატრი
124. ცხენის კისრის ბალანი
125. ორატორის ადგილი, ტრიბუნა
126. რეჟისორი ... კუსტურიცა
127. მსახიობი ... პეჩი
128. ლუდის ერთ-ერთი კომპონენტი
129. მოლეკულის შემადგენელი
130. „გრაფი მონტე-კრისტო“. ციხე-სიმაგრე
131. სტივენ სიგალის კინოროლი
132. იპოლიტე ხვიჩია ფილმში
133. თაგვის სადგომი ხვრელი
134. „დორიან ... პორტრეტი“
135. გამის ნოტი
136. უძველო ხორცი
137. ბალერინა ... ნიორაძე
138. თევზის ჯიში
139. მხატვარი ფრანსისკო ...
140. ბიბლიური პატრიარქი
141. ვერის ნაშიერი
142. იაპონური ჭადრაკი
143. სამიანი კამათელზე
144. ქრისტიანული დღესასწაული
145. რეჟისორი ალექსანდრე ...
146. აგენტი 007- ჯეიმს ...
147. აბესალომ და ..., ღმერთმა შეგყარათ ერთფერი
148. სპილენძის დოქი
149. ის ურჩევნია მამულსა
150. ერნესტო ... გევარა
151. ტბა აფრიკაში
152. მწერალი ... ბრედბერი
153. კედლის შანდალი
154. ... კიხოტ ლამანჩელი
155. სასაქონლო ზადი, ნაკლი
156. ავსა კაცსა ავი სიტყვა, ურჩევნია ..., გულსა
157. ბაზრობა თბილისში
158. ... ფოისტვანგერი
159. რეჟისორი ალფონსო ...
160. რეპტილია. ამზადებენ წვნიანს

პასუხები: 1. ჭოლა; 2. პიცა; 3. ზაქი; 4. ბერტოლუჩი; 5. პირანია; 6. ბოტიჩელი; 7. პოსეიდონი; 8. სოფოკლე; 9. იორდანე; 10. ნერონი; 11. ჭოროხი; 12. პროტეინი; 13. ხისტი; 14. კოპი; 15. კოლიზეუმი; 16. ცა; 17. რაც; 18. რეფერი; 19. და; 20. აკვალანგი; 21. დიდოსტატის; 22. გალაქტიკა; 23. კაეშანი; 24. ბლუჯი; 25. ველ; 26. ვიოლინო; 27. ჩიტი; 28. ბაქო; 29. ბეკეკას; 30. ბაღდადი; 31. უძღები; 32. ბერნი; 33. იქსი; 34. ბროდერეკი; 35. ნაკიანი; 36. ბრინჯაო; 37. იალალი; 38. კუმისი; 39. ირინეს; 40. ღვიძლი; 41. არტერია; 42. ბაჯაღლო; 43. კოდი; 44. რედკლიფი; 45. დიკ; 46. ინდი; 47. ტაბუ; 48. ბირკა; 49. მძაღე; 50. მაზინა; 51. ბალკონი; 52. დარაჯი; 53. „ნაფარეული“; 54. კარმენ; 55. პიანო; 56. ჯანღი; 57. საკე; 58. ხულო; 59. პაპა; 60. ნო; 61. რეზერფორდი; 62. ბრაკონიერი; 63. ხიზანიშვილი; 64. პირსინგი; 65. უსტარი; 66. „ნაბუქოდონოსორი“; 67. ნაბლა; 68. შაქრო; 69. დიეტა; 70. რქა; 71. ფონ; 72. კენ; 73. თუთიყუში; 74. აპოთეოზი; 75. ეკვადორი; 76. მაჯა; 77. კუნძი; 78. ლეთარგიული; 79. პრო; 80. მაკოლეი; 81. ვლადიმერ; 82. ჯონი; 83. ლოქო; 84. ერე; 85. მენიუ; 86. თაობა; 87. ჯონათან; 88. აიათოლა; 89. ნარვალი; 90. ბუჩქი; 91. ლიფი; 92. ბლაგვი; 93. ოფელია; 94. ყანჩა; 95. ძია; 96. კრედიტი; 97. ერდო; 98. ილინოისი; 99. ედ; 100. ამაშუკელი; 101. კაატინგა; 102. რომ; 103. ქიშმიში; 104. შვეიკი; 105. ტირე; 106. მიჯნური; 107. ტაფა; 108. ნიკი; 109. გავრილ; 110. მეტეორი; 111. ქვრივი; 112. მუნი; 113. ნანდუ; 114. იონჯა; 115. კინტო; 116. დიეგო; 117. ენოტი; 118. სენაკი; 119. კელი; 120. ვალსი; 121. ივ; 122. სვენ; 123. „რომენი“; 124. ფაფარი; 125. კათედრა; 126. ემირ; 127. ენ; 128. ალაო; 129. ატომი; 130. იფი; 131. ნიკო; 132. „განგაში“; 133. სორო; 134. გრეის; 135. ფა; 136. ფილე; 137. ირმა; 138. სვია; 139. გოია; 140. ნოე; 141. ჩოჩორი; 142. გო; 143. სე; 144. ხარება; 145. როუ; 146. ბონდი; 147. ეთერი; 148. თუნგი; 149. არ დავუბრუნდეთ წარსულსა; 150. ჩე; 151. ნიასა; 152. რეი; 153. ბრა; 154. დონ; 155. წუნი; 156. სულსა; 157. ლილო; 158. ლიონ; 159. არაუ; 160. კუ.

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიული დეპარტამენტის ზოგადი პედიატრიის მიმართულების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი პედიატრი, პედაგოგი, მედიცინის დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი, ქალბატონი

**ლეილა მხეიძე**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

*გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას*

## მთვარეულის უეცარი გაღვიძება მასზე არავითარ უარყოფით გავლენას არ მოახდენს, თუმცა...



არსებობს ერთი გავრცელებული მითი, თითქოს, თუკი ღამით ფეხზე ამდგარ მთვარეულს უეცრად გააღვიძებთ, შესაძლოა, ძლიერი შოკი ან უფრო უარესი – გულის შეტევაც კი დაემართოს. სინამდვილეში ასეთი საფრთხეები არ არსებობს, მაგრამ, თუ მაინც მოხდება ისე, რომ დაინახავთ ადამიანს, რომელიც ძილში დადის, ნუ გააღვიძებთ, რადგან ასე სჯობია როგორც მისთვის, ისე თქვენთვის.

სპეციალისტების განმარტებით, მთვარეული ადამიანის უეცარი გამოღვიძება სხვისი ჩარევით შესაძლოა, იმით დასრულდეს, რომ მოულოდნელობისგან მან საკუთარი თავი, ან გამღვიძებელი დააზიანოს.

ჩვეულებრივ, მთვარეული სიარულს ძილის მესამე სტადიაში იწყებს, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც „ნელი ძილი“. ამ სტადიაზე ძილი ძალიან ღრმაა, ხოლო გამოფხიზლება – საკმაოდ რთული, თუმცა შესაძლებელი. ამ დროს გამოფხიზლებას შესაძლოა, კოგნიტიური დარღვევა (მეცნიერები ამ მდგომარეობას „ძილის ინერციასაც“ უწოდებენ) მოჰყვეს, რომელიც 30 წამს გრძელდება.

სპეციალისტების თქმით, ღრმა ძილიდან უეცრად გამოფხიზლებულ ადამიანს შესაძლოა, ძალიან შეეშინდეს, დიდხანს ვერ მიხვდეს, სად არის. ამდენად, არ არის გამორიცხული, გამღვიძებელი უბრალოდ, ვერ იცნოს, ხელი კრას ან დაარტყას.

იმის ნაცვლად, რომ მთვარეულის გაღვიძებას შეეცადოთ, სპეციალისტების რჩევაა, ის ნაზი შეხებებით საწოლისკენ შეაბრუნოთ და ნელ-ნელა, აჩქარების გარეშე დააწვინოთ.

***mainfun.ru***

## ანორექსია ფსიქიკურ დაავადებებში სიკვდილიანობის მხრივ პირველ ადგილზეა



უმჯობესი იქნებოდა, საერთოდ არ ამოეღო ხმა იმ ადამიანს, საერთოდ ლაპარაკი არ სცოდნოდა, ვინც პირველმა თქვა: „სილამაზე მსხვერპლს მოითხოვსო“...

როგორც ირკვევა, ყველა სხვა ფსიქიკურ დაავადებებს შორის, ანორექსიით გარდაცვლილი ადამიანების რაოდენობა გაცილებით დიდია და ციფრი 5-დან 10 პროცენტამდე მერყეობს. ფატალური შედეგის მიზეზი ზოგ შემთხვევაში თვითმკვლელობაა, თუმცა არანაკლებ იშვიათია გარდაცვალება სამედიცინო გართულებების გამო. აქედან გამომდინარე, ადამიანის გადარჩენის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა დიაგნოზის დროულ დასმასა და სათანადო მკურნალობას ენიჭება.

რაც არ უნდა გასაკვირად მოგეჩვენოთ, ანორექსია მხოლოდ ქალების პრობლემა არ გახლავთ. ავადმყოფების 20 პროცენტს ძლიერი სქესი შეადგენს და სამწუხაროდ, ეს მაჩვენებელი სულ უფრო იზრდება.

სპეციალისტების განმარტებით, დაავადების დროს მამაკაცებსაც ზუსტად ისეთივე პრობლემები უჩნდებათ, როგორიც ქალებს, თუმცა მათ შემთხვევაში ჩვეულებრივ, სწორი დიაგნოზის დასმა ვერ ხერხდება. სწორედ ამიტომაა, რომ მამაკაცების ანორექსია საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი ხდება და აქედან გამომდინარე, დახმარების აღმოჩენაც ძალიან გვიანდება.

***medkarta.com***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

17 **დეკემბერი:** რაც უფრო აქტიურად ეცდებით მოვლენების დაჩქარებას, მით უფრო გაგიჭირდებათ მოპოვებული პოზიციების დაცვა. სანამ რამე ახალს წამოიწყებთ, იქნებ მიმდინარე საქმეები გაგერკვიათ.

**კურო 22.04-21.05**

17 **დეკემბერი:** შეეცადეთ, ისტერიკამდე არ მიიყვანოთ ადამიანები, რომლებთანაც ურთიერთობა მოგიწევთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ადამიანებთან გიწევთ ურთიერთობა.

**ტყუპები 22.05-21.06**

17 **დეკემბერი:** რაოდენ კარგი და დროულიც არ უნდა იყოს თქვენი იდეები, შედეგს არ მოგიტანთ. შეეცადეთ, ხვალამდე მაინც, მათზე არ ილაპარაკოთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

17 **დეკემბერი:** შეეცადეთ, ეს დღე ისე დაგეგმოთ, რომ არ გადაიტვირთოთ. თუ გართობასა და დასვენებას მოახერხებთ, ურიგო არ იქნება.

**ლომი 23.07-22.08**

17 **დეკემბერი:** შესაძლოა, ვიღაცაში შეეშალოთ. ასე რომ, არ გაგიკვირდეთ, თუკი უცხო ადამიანი ახლობელივით მოგიკითხავთ.

**ქალწული 23.08-22.09**

17 **დეკემბერი:** აუცილებლად გამონახეთ დრო. თუ საფუძვლიანად იფიქრებთ, შეიძლება გაგიჩნდეთ იდეა, როგორ იშოვოთ ფული.

**სასწორი 23.09-22.10**

17 **დეკემბერი:** დღეს უნდა იგრძნოთ, რომ ვიღაცას სჭირდებით. კარგად დაფიქრდით, ვისი დახმარება შეგიძლიათ და რა საქმეში.

**მორიელი 23.10-21.11**

17 **დეკემბერი:** შეგიძლიათ, დინებას სინდისის ქენჯნის გარეშე მიჰყვეთ. ნებისმიერ შემთხვევაში, იქ აღმოჩნდებით, სადაც გსურდათ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

17 **დეკემბერი:** თქვენს ხუმრობებზე არ გაიცინებენ, მაგრამ ამას წყენის საბაბად ნუ აქცევთ, თქვენს იუმორს მოგვიანებით ჩასწვდებიან.

**თხის რქა 22.12-19.01**

17 **დეკემბერი:** თუ თქვენს მოწინააღმდეგეს შეუვალი არგუმენტები აქვს, კამათს აზრი არ აქვს. როგორც ჩანს, დღეს შეცდომის აღიარება მოგიწევთ.

**მერწყული 20.01-18.02**

17 **დეკემბერი:** შეეცადეთ, ტაქტიანად მოიქცეთ და ხმამაღალ საუბარს მოერიდოთ. ადამიანი, რომელსაც გინდათ, რომ უყვიროთ, ამას არ იმსახურებს.

**თევზები 19.02-20.03**

17 **დეკემბერი:** ზედმეტ ყურადღებას ნუ მიიპყრობთ, რადგან არსებობს ალბათობა, რომ ისეთი ადამიანები დაინტერესდნენ თქვენით, ვის დანახვასაც არ ისურვებდით.

## მეცნიერებმა ზომბი-უჯრედები შექმნეს, რომლებიც სიკვდილის შემდეგ ბევრად უკეთ მუშაობენ




ქიმიისთვის და ბიოლოგიისთვის ასეთი ზომბი-უჯრედების არსებობა ისეთი ფორმების შექმნის შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც არა მხოლოდ დაემსგავსებიან თავიანთ ცოცხალ ეკვივალენტებს, არამედ მათ სამუშაოსაც შეასრულებენ, თანაც, ბევრად უკეთესად.

მეცნიერების ინფორმაციით, მათ ე.წ. „ზომბი“-უჯრედები შექმნეს, რომლებიც სიკვდილის შემდეგაც მუშაობენ. კლასიკური კინომიცვალებულებისგან განსხვავებით, უჯრედები თავიანთ ფუნქციებს იმაზე უკეთ ასრულებენ, ვიდრე ეს სიცოცხლეში ხდებოდა.

უჯრედების მოთავსებით სილიციუმის მჟავის ხსნარში, ისინი გამოიმუშავებენ უნარს, გაუძლონ ბევრად მაღალ ტემპერატურასა და წნევას, ვიდრე სიცოცხლეში. ტექნიკურად ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია ნებისმიერი ფასეული ბიოლოგიური მასალის შენახვა მისი წიაღისეულად „გადაქცევით“.

სიახლის ავტორები მიიჩნევენ, რომ ზომბი-უჯრედების გამოყენება შესაძლებელი იქნება, მაგალითად, საწვავის ელემენტების, სენსორული ტექნოლოგიების კომერციული წარმოებისთვის, სამომავლოდ კი ) ნანოტექნოლოგიებშიც.

***pronowosti.ru***

## ყავაზე მომუშავე ავტომობილმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა



ვაჰ, კაცო, თან იმას გვატყუებენ, საწვავის ფასი დაიწევსო, თან იმით გვაგიჟებენ, რომ ძალიან ბევრ ადამიანს ჰყავს ავტომობილი, რომელსაც არც ბენზინი სჭირდება, არც დიზელი და არც გაზი. ჰო, თან ასეთი მანქანებით მსოფლიო რეკორდებსაც ამყარებენ.

ავტომობილმა, რომელიც თურმე, ყავის მარცვლებზე მუშაობს, ცოტა ხნის წინ პატრონი უსაზღვროდ გაახარა – 105 კილომეტრ/საათის სიჩქარის განვითარებით, თავის კლასში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

რეკორდისა და საოცარი ავტომობილის პატრონი 42 წლის ბრიტანელი მარტინ ბეიკონია, რომელმაც 1989 წლის „ფორდის“ პიკაპი საკუთარი გამჭრიახობით გამოგონილი დანადგარით აღჭურვა, რომელიც საშუალებას იძლევა, მანქანამ სწორედ ყავის მარცვლების გადამუშავებით იმოძრაოს.

***auto.mail.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



ექიმი პაციენტს წამალს უწერს. პაციენტი ეუბნება:

– თუ შეიძლება, ექიმო, ცნობაც დამიწერეთ, რომ იდიოტი ვარ!

– რატომ?

– რატომ და იმიტომ, რომ ვფიქრობ, სურდოს საწინააღმდეგო წამალი, რომელიც 80 ლარი ღირს, აფთიაქებში სპეციალური ცნობის გარეშე არ უნდა იყიდებოდეს!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი
**გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: **თამაზ ბესტავაშვილი**
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაძვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.14